XXIV № 4 XXIV

აპრილი, 1913 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შინაარსი

ჟურნალ „ჯეჯილისა

I სურათი. არავის დაუთმობ! 194
II მაყვალას დედოფალი. ლექსი შიო მდივმელისა . 195
III წმიდა ვერონიკის ხელის შესაწმენდი, ლეგენდა. თარგმანი ტასოსი 197
IV დარბაისელი ვანო, სააღდგომო სურათი ეკ. გაბაშვილისა 204
V მარილი (ბიკოვიდან) კუდრაჭასი 209
VI პატარა მეხრე. ლექსი ვ. გორგაძისა 212
VII მარწყვის დიდედა. ზღაპარი (შემდეგი იქნება) ვანო სალთაშვილისა 214
VIII შავ-თავა ყვავი და ყვითელი ჩიტი იადონი. მამინ სიბირიაკისა (დასასრული) თარგმანი ა. ფ—სი. . 220
IX წვრილმანი: გამოცანები, ანაგრამა, შარადა და გასართობი 226

X აღდგომის ფილა შიო მდივმელისა 228
XI სამშობლოს დაუბრუნდა. სააღდგომო ამბავი ან. წერეთლისა 230
XII ბედნიერება რისთვის არის ფრთა შეკვეცილი. (თარგმანი) ცქვიტისა 236
XIII წითელი კვერცხი, კომედია სამ მოქმედებათ. გადმოკეთებული გ. მ—ისა 240
XIV მტკვრის სათავე, ჭოროხი და თამარ მეფე. მგზავრის დღიურიდან—ილ. ალსაზიშვილისა.. . . . 249
XV პირველ-ყოფილი ადამიანის და ეხლანდელი ველურების ყოფა-ცხოვრება. ლუნკევიჩისა (გადმოკეთებული) იტა ნაკაშიძისა 254

ჯეჯილის **1913** წლის ხელის მომწერლებს

საჩუქრათ დაურიგდებათ

დასურათებული წიგნი.

ჩვენი მეგობრები

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საუმაწვილო ნახატებიანი
ჟურნალი.

იზარდე მწვანე ჯეჯილო,
დაპურდი, გახდი ყანაოს..

ი. დ.

აპრილი, 1913

✦ წელიწადი მეოცდაოთხე ✦

თ ბ ი ლ ი ს ი
ელექტრომბეჭდავი „შრომა", მუხრანის ქ. № 12.
1913

ეროვნული
ბიბლიოთ

„არავის არ დავუთმობ!“

ეროვნული
ბიბლიოთეკ

მაყვალას დედოფალი

ეხეთ, შეხეთ, ერთი შეხეთ
თვალჟუჟუნას, ცქრიალასა,
ახატულსა, ჩახატულსა,
წითელ კაბა-ფრიალასა,
შუბლ გაშლილს და წარბ
მოშვილდულს
გიშერ წამწამებიანსა,
წელ წერწეტას, ეარეარასა,
კულულ-დალალებიანსა.
რა რიგ დინჯად მოციმციმებს,
განა მოაშარიშურებს;
დედას მოსდევს მხარდამხარა
სხვას არავის არ უეურებს.
სულ არა ჭვავს სხვათა ბავშვებს,
ტევა-ბუსხუნ ჩვეულებსა,
შლეგიანებს, ფეთიანებს,
მუდამ გადარეულებსა.
სიტევა-ჰასუს მოწეობილი
მეტად თავაზიანია,
სწავლობს კარგად „ნუცას“ კლასში
ჯერ არ დაუგვიანია.

ამიტომაც დაითხარა
თვალები და თითის წვერი,
რომ ლამაზად გამოეწეო
დედას თავის მშვენიერი.
რასაც ჭსედავთ მაუვალამ ეს
სულ წუხელის მოათავა,
წუხელისვე მორთო ქალი,
კოხტად ჩააკოჭწიავა,
იმ ფიქრით და იმ სურვილით
ტოლებს ადრე ასწრებოდა
და ბრწეინვალე ლიტანიას
ეკვლაზე წინ დასწრებოდა.
ნეტავი კი მეავდეს ერთი
მეც ესეთი დედოფალი,
აი მაშინ ვიქნებოდი
ეოჩალი და კარგი ქალი.
ლიტანიით მომავალი
ასე მოუბნობდა ელა
და მაუვალას ჩუმ დედოფალს
თან მოსდევდა ნელა-ნელა.

შ. მღვიმელი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

წმიდა ვერონიკის ხელის-შესაწმენდი

(დეგენდა).

ესო ქრისტე მაცხოვრის სიკვდილის წინეთ, რომში მეფობდა იმპერატორი ტიბერი.

იმპერატორი მძიმეთ ავათ გახდა: საშიში და გადამდები სნეულება შეეყარა და განცალკევებულათ კაპრის კუნძულზე მოათავსეს. ყველამ მიატოვეს იგი. თვითონ ავათმყოფიც არავის არ იკარებდა ახლოს, ეშინოდა, ვაი თუ მიღალატონ, მომკლან და ამითი გადამიხადონ, რომ ყველას ვტანჯავდი და ვდევნიდიო. ტიბერი სასტიკი მტარვალი კაცი იყო და ყველას ეჯავრებოდა.

ავათმყოფ იმპერატორს გვერდით ჰყავდა მხოლოთ თავისი მოხუცებული ძიძა, ფაუსტინა, რომელიც დიდი სიყვარულით უვლიდა იმას.

ამ დროს ყველგან ხმა გავარდა, რომ რომის შორეულ პროვინციაში—პალესტინაში გაჩნდა დიდებული წინასწარმეტყველი იესო ნაზარეველი. იგი თურმე ყველას გაჰკურნავდა ყოველ გვარ ავათმყო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფობისაგან: ბრძებს უბრუნებდა მხედველობას და მკვდრებსაც კი აღადგენდა. ამ ხმებმა ტიბერიის უურამდისაც მიაღწია, მაგრამ ის არაფრათ იმჩნევდა, ჰირ-იქით იცინოდა კიდეც.

— დიდებულო, ბატონო, უთხრა ერთხელ ფაუსტინამ იმპერატორს,—ნება მიბოძე წავიდე ჰალესტინაში და ვინახულო წინასწარმეტყველი იესო ნაზარეველი. იქნება მან შენს ტანჯვას შეღავათი მისცეს.

ტიბერიმ ამაზედ გაიღიმა:

— წადი, თუ კი გჯერა ეგ ზღაპრები,—უთხრა მან,—მე კი ჭკუაში არ მოვდის...

ფაუსტინა გაუდგა გზას. ბევრი სიარულის და ხეტიალის შემდეგ მიადგა ჰალესტინას და მერე იერუსალიმს... მაგრამ მან ვეღარ მოასწრო ქალაქში შესვლა. მიუახლოვდა თუ არა ქალაქს გზაში აუარებელი ხალხი დაუხვდა, რომელიც მისდევდა სასიკვდილოთ განწირულს იესო ნაზარეველს... იგი დიდი გაჭირვებით მიდიოდა, ეოველ ნაბიჯზე ბორძიკობდა, მუხლები ეკეცებოდა, რადგან ჯალათებს აეკიდნათ მისთვის დიდი მძიმე ჯვარი, რომელზედაც უპირებდენ გაკვრას.

ამ ჯალათებს წელზე თოკი შემოეკრათ იესოსთვის და ისე მიათრევდენ, რომ უკან არ ჩამორჩენოდათ. უცბათ მათ ძალზე გასწიეს თოკი. იესო ქრისტე დაეცა მიწაზე და მძიმე ჯვარს ქვეშ მოჰყვა...

რომაელი ჯარის კაცები უეცრიოდენ, სცემდენ, აძალებდენ ადგომას, მერე იძულებული გახდენ მოეცილებინათ მისთვის ჯვარი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

იესო ქრისტემ უცებ თავი მაღლა აიღო და ფაუსტინა საშინლათ შეძრწუნდა, როდესაც დაინახა იესოს სახე ბევრი ცემით აჭარხლებული, ეკლის გვირგვინის წეალობით შუბლიდან სისხლი გადმოსდიოდა, ბაგე უთრთოდა, ცრემლებით სავსე თვალები ღრმა ტანჯვას გამოხატავდენ.

ფაუსტინამ ამ სანახაობას ვერ გაუძლო, გული მწუხარებით აევსო. მან დაიჩოქა მაცხოვრის წინ, თავზე ალერსით ხელი გადუსვა, იესოც, როგორც დედის გულს, ბავშვივით მიეურდნო, თითქოს მასში ხსნას ეძებსო...

ფაუსტინამ მიადო მის სახეს თავისი სუფთა და წმინდა ხელის—შესაწმენდი, რომ ცრემლები და სისხლი მოეწმინდა.

მაგრამ ამ დროს ჯალათებმა მოირბინეს, სტაცეს ხელი იესოს და ძალით წაათრიეს. ფაუსტინამ ერთი შეჰკივლა და უგრძნობლათ დაეცა მიწაზე.

—

როდესაც მოხუცებული ფაუსტინა დაბრუნდა კაბარის კუნძულზე ელდა ეცა, რომ იმპერატორი ძალიან ცუდათ გამხდარიეო და სიკვდილის ჰირამდის მიღწეულიეო.

მან უამბო იმპერატორს ყველაფერი, რაცა ნახა და უთხრა, რომ წინასწარმეტყველი იესო ნაზარეველი ჯვარს აცვეს.

— ახლა სულ ერთია ჩემთვის, თქვა ტიბერიმ,— განა შეიძლებდა აეცილებინა ჩემთვის ეს ტანჯვა?

— ოო! იმპერატორო! უთხრა ფაუსტინამ,—დარ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

წმუნებული ვარ, რომ შეიძლებდა! მე ხომ მოგახსენეთ, რომ მას სახეზე მივადე ხელის-შესაწმენდი... აი ის ხელის შესაწმენდი მე მიჭირავს...

გნებავთ დახედოთ?

და ფაუსტინამ გაშალა ხელის-შესაწმენდი. იმპერატორმა დაინახა მასზე მკრთალათ აღბეჭდილი ადამიანის ჰირის-სახე.

— იესო მაცხოვარი მიხვდა, განაგრძო ფაუსტინამ,—რომ მისმა ტანჯვამ მაგრძნობინა მისადმი სიყვარული, რომ მან ჩემ გულში აღძრა შებრალება და სრული რწმენა... არ ვიცი, როგორ მოხდა, რომ ამ ხელ-შესაწმენდზე გამოისახა მისი ნათელი, წმიდა ჰირის სახე.

ტიბერი დიდი დაკვირვებით დააცქერდა ამ სახეს, ამ სიყვარულით სავსე თვალებს, რომელშიაც გამოიხატებოდა მისი ტანჯვა და უბიწობა.

— ეს ადამიანია? განა ეს ადამიანი იყო? ამბობდა ჩურჩულით ცრემლებ მორეული იმპერატორი,— ახლა რომ დავაცქერდი ვირწმუნე, მჯერა, რომ ის მაცხოვარი ფეხზე დაძაყენებდა, გამკურნავდა...

მერე თავი მდაბლათ დახარა ქრისტეს გამოსახულზე და თვალებზე მომდგარი ცრემლებით წაიღუღღუღა:

— გამიკითხე მაცხოვარო! მრწამს, რომ ცოცხალი ყოფილიყავ, ერთი შენი შეხედვა მომარჩენდა!

ტიბერიმ ჰირველათ თავის სიცოცხლეში გულწრფელათ და მხურვალეთ დაიწყო მწარეთ, ცხარეთ ტირილი. ფაუსტინა მივარდა დასამშვიდებლათ და

უცბათ გაჩერდა... ტიბერის სახის გამომეტყველება უცბათ შეეცვალა, ის ისეთივე იყო, როგორც სნეულობის წინეთ. წინანდელი ავათმყოფობისა არც ხელებზე და არც სახეზე ნატამალი არა ეტყობოდა-რა...

ამის შემდეგ დიდ ხანს არ გაუვლია და მოხუცებული ფაუსტინა ავათ გახდა, ქვეშაგებში ჩავარდა. მაგრამ სიკვდილის წინეთ მოასწრო წმ. მირონის მიღება და სახელათ დაარქვეს წმ. ვერონიკი, რაც ნიშნავს—წმიდა სახეს.

და მას ხვდა ბედათ შეენახა ჩვენს გადმოსაცემათ მაცხოვრის ნამდვილი სატი.

(თარგმანი)

ტასო.



ეროვნული
ბიბლიოთეკა

დარგაისელი ვანო

საალდგომო სურათი.

ბრილის მშვენიერი საღამო იყო, არავის ოთახში გული აღარ უდგებოდა, ყველა კარში მიილტვოდა გაზაფხულის მზეზედ გასათბობათ.

— ვანო, წამო ეზოში ბურთი გავაგოროთ, თვალ-ხუჭუნა ვითამაშოთ. ელიჯინებოდნენ ელო და კოტე თავის უმფროს ძმიას, ათის წლის ვანოს, რომელიც ფანჯარასთან იჯდა და წიგნს ჩაჰკირკიტებდა.

— დამეკარგეთ! მეცნიერებით თავგამოდებული უტევდა ვანო და-ძმას—ვერ ხედავთ, რეგვნებო, რო მათემატიკას ვსწავლობ?

— მატი...ტი...კა მელე, მელე! არ ეშვებოდა ექვსი წლის ენა ჩლუნგი ელო უმფროს ძმას.—ლოცა სანთელს აანთებენ... ესლა ყველა ეზოშია. წამო, წამო ვიბურთაოთ. და თან მეცნიერ ძმას წინ გადაშლილ წიგნზედ ხელს უფარებდა.

— ციც! მატრაკვეცავ, ნუ მიშლი! არ გესმის გაკვეთილს ვიზეპირებ? კვლავ შეუტია ვანომ დას, მერე დოინჯები შემოიყარა მრისხანე შეხედულობა მიიღო და ფესები დაუბრაგუნა კოტეს, რომელიც ხალათის კალთით ეწეოდა ძმას გარეთ გასასვლელათ.

ცოტა მოშორებით ბავშვების მამა, გიორგი ნაცვლიშვილი მაგიდასთან იჯდა, გაზეთს კითხულობდა და ცალის თვალით და ეურით შვილებს ეურს უგდებდა და იღიმებოდა.

გავიდა დიდმარხვა. დადგა აღდგომის შაბათი. ნაცვლიანთ სახლში დიდი სამზადისი იყო აღდგომის მისაგებებლათ. დედა და მოსამსახურე დედაკაცი ნენე წითელ კვერცხებს ღებავდნენ, პასკებს აცხობდნენ, ბატკანს სწვამდნენ, ქათმებს სარშავდნენ. მამიდა ნინო, საადგომო ზიზიებს—ასალ ტანისამოსს ღილებს და ჯიბეებს აკერებდა. მამა კი სასეირნოთ წავიდა. წასვლის დროს ვანოს უთხრა:—მოდი, მე და შენ ქალაქ გარეთ წავიდეთ, მწვანე ველ-მინდორზედ გავინავარდოთ.

— მე წიგნს ვკითხულობ! არა მცალიან! მამასაც გაბერვით, მედიდურად მიუგო ვანომ.—სასეირნოთ სიარული ნაადგომევსაც მეეოფა!

— ძრიელ კარგი, ფილოსოფოსო! თავის გაქნევით უთხრა მამამ უდროოდ დამზნილს შვილს და გაშორდა.

—

საღამო ჟამს, როდესაც ეოველ სამზადისს მორჩენენ, სანთლები აანთეს და მთელი ოჯახი ჩაის მა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

გიდას შემოუსხდნენ, მამა მეორე ოთახში გავიდა. მალე იქიდან ქაღალდის დიდი უთი გამოიტანა და მაგიდაზედ დასდგა.

ბავშვებმა თვალები აჭეიტეს, ცმუკვა დაიწყეს და ჰირზედ სიხარულის ღიმილი გამოესახათ.

— ლა ალი მაგ უთში? ცნობის მოუვარეობით შეეკითხა ჰატარა ელო მამას. აბა თავი ახადე!.. მაჩვენე...

— არ შეიძლება, უთხრა მამამ.—შიგ ჩიტია დამწყვდეული და ამოფრინდება.

— ჩიტი? ჩიტი! შეჰყვირა ელომ და ზეზე წამოხტა.

— აბა ჩამახედე, გენაცვა მამილო! ისე, ოდნავ ავხდი, რომ ჩიტმა ვერც კი გაიგოს, მხოლოდ ჩავიხედავ. მოუთმენლათ დაუწყო კოტემ მამას თხოვნა. ვანო კი უნძრევლათ იჯდა თავის სკამზედ, თითქო ჩიტის ნახვა იმას კი არ უნდოდა, მაგრამ ვანოს დიდობიანის თამაშობა უყვარდა და ითმენდა, ხმას არ იღებდა, არ უნდოდა დაძმას ცნობის მოუვარეობაში გააშხანაგებოდა.

— აბა, მართლა, რა გაქვს მაგ უუთში? უჩვენე რაღა, ნუ გადაღალე ბავშვები,—შეეხმაურა ცოლი გაჩუმებულ გიორგის და უუთის თავს ხელი წაავლო ასახდელათ.

— არა, არ იქნება! მე მინდა ვანომაც გამოიჩინოს ცნობის მოუვარეობა, მიუგო ქმარმა.

— მე ბალღი არა ვარ, კვლავ გაბღენძით სთქვა ვანომ და არც კი შეინძრა, ჰირ იქით წარბები უფრო შეიკრა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— მართალია, მართალი! შენ ძლიერ დიდი ვინ-
მე ხარ, დიდი ფილოსოფოსი, მატემატიკოსი... შენ
როგორ შეგფერის ამსუბუქება! დაცინვით უთხრა მა-
მამ ვანოს და ეუთს თავი ახადა.

— აი, ელენეჯან, ეს ლამაზი მაქრის კვერცხი შე-
ნა, ხედავ შიგ რეებია გამოსახული? იესო ქრისტე
ხელში ბაირაღით, ფეხ ქვეშ ლამაზი გაზაფხულის
ყვავილები უშლია... ალერსით უთხრა მამამ ჰატარა
გოგონას და ვეებერთელა მაქრის კვერცხი მისცა.

კვერცხი მაქრის ყვავილებით და ალისფერი ლენ-
ტით იყო მორთული, გვერდში დიდი შუშა ჭქონდა
ფანჯარასავით ჩასმული და შუშიდან კვერცხის გა-
მოფუღრულში მოსჩანდა მშვენიერი სურათი. ელომ
კვერცხი დაჭკოცნა, გულში ჩაიკრა და სიხარულით
დედასთან მიირბინა.

— დედიკოჯან, დედიკოჯან! ნახე, ნახე მამამ
ლა მომიტანა! ლა ლამაზია! შიგ ლა ზის, დაინახე!

— აი ეს ბატკანი, ხუჭუჭა ტყაოსანი, წითელ
საყელოსანი შენთვის მიფეშქაშებია, ახლა კოტეს მი-
უბრუნდა მამა:—შენ ხომ იცი, რომ აღდგომას ყო-
ველთვის ბატკნით მიესალმებიან ხოლმე და აი შენც
ბატკნით ისიამოვნე.

— დედილო, დედილო! ერთი ნახე, როგორი ბატ-
კანია! ახლა კოტე მივარდა დედას.—მაქრისა კი არ
არის, ნამდვილი მატელის ტყავი აქვს, თვალებიც
ჭრელები უსხედან, ფეხებზედაც ძვლის ჩლიქები ასხია,
ჩლიქებ ქვეშ გოგორები!.. აბა გავატარო... ოხ, ოხ!
რა რიგ დაბზრიალობს. ელო, ელო! უეურე. ვანო

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვანო, აბა ნახე, ბიჭო, რა კარგია! შენი ჭირიმე! სიხარულით სტოდა კოტე და ლამაზ ბატკანს უველას უჩვენებდა.

ვანო თვალებს აცქცებდა, გული უფანცქალებდა, მოუთმენლად ელოდა თავის საალდგომო საჩუქარს, მაგრამ არ ინძრეოდა, არ ჰკარგავდა თავის ვითომ დარბაისლობას და ხმას არ იღებდა. მამაც ჩუმად შეჰ-ეურებდა. დედა კი ისე გააოგნეს ელომ და კოტემ, რომ ვანო და იმის საჩუქარი სულ დაავიწყდა.

—მე? მე კი არაფერი? ბოლოს ვეღარ მოითმინა ჰატარა მეცნიერმა და ღრიალი დაიწყო.

— შენ? ოჰ, შენთვისაც არის საჩუქარი, ჩემო ბრძენო! აი ინებე—და მამამ დიდის ამბით გადასცა ჰატარა ვანოს დიდი, შავკაზმიანი და ოქროს ვარაეით წარწერილი: „არიფმეტიკული ამოცანები“.

— ამოცანები! აღდგომას ამოცანები! ვაი დედა, ვაი! კვლავ შეჰღრიალა ვანომ და ახლა კი ნამდვილ ბავშურათ დედის კალთაში დაღვარა ცხარე ცრემლები.

— რად ტირი, ჩემო ძვირფასო, ალერსით უთხრა დედამ.—შენ აკი წიგნი ეველაფერს გირჩევნია! წიგნიც კარგი რამ არის, მაგრამ ეველას თავისი დრო აქვს და ამითი ამაეობა არავის შეჰფერის, მეტადრე შენისთანა ჰაწაწინას.

ეკ. გაბაშვილისა.

ეროვნული
ბიბლიოთეკ

მარილი

მიტოს მთელი ზამთარი დედა ავათა ჰყავდა. გაზაფხულზე ცოტათი მოკეთდა და ექიმმა უთხრა, რომ ზაფხული უსათუოთ ზღვის ჰირას გაეტარებინა.

მიტო დედას გვერდიდან არა შორდებოდა, ჭკვიანი და დამჯერი ბავშვი იყო. ზღვა მას თავის დღეში არ ენახა და ძალიან გაეხარდა, რომ ექიმმა ნება მისცა დედას წაეყვანა ემაწვილითან.

გზაში მიტო უკლიდა, როგორც შეეძლო დედას, მუხლებზე ხურავდა თბილ შალს, უსწორებდა თავქვეშ ბალიშს და აწოდებდა საჭმელს. დედას ძალიან უხაროდა, რომ მისი საყვარელი ბიჭიკო ასე გულმოდგინეთ უკლიდა.

ზღვის ჰირას, ქალაქ იალტაში, ისინი ღამე მივიდენ და სასტუმროში მოსასვენებლათ გაჩერდენ.

მიტოს დილით ძალიან ადრე გაეღვიძა და ჩუმათ აივანზე გამოვიდა რომ დედა არ გაეღვიძებინა. მშვენიერი თბილი გაზაფხულის დილა იდგა. აივნიდან ჩანდა სულ ახლოს ზღვა, მიტომ ვერ მოითმინა და ზღვისკენ გაექანა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— უჰ, ზღვაში რა წმინდა წყალი ეოფილა, უთუოდ გემრიელი იქნება, თქვა მიტომ, — და ზღვიდან დასალევათ ბუჭით წყალი ამოიღო, მაგრამ წყალი შესვრიბა თუ არა, დაიღრიჯა.

— ფუ, რა უგემურია, მლაშეა, მარილს რა უნდა აქა, ალბათ ვისმეს თუ დაებნა ტომრით მარილი.

მიტომ გაირბინა სხვა ალაგას წყლის დასალევათ, მაგრამ იქაც წყალი ისეთივე მლაშე გამოდგა.

— ესეც შენი ზღვა! ამოდენა წყალია და დალევა კი არ შეიძლება, წავიდე, ვკითხო დედას, იქნება მითხრას რათ არის ძლაშე.

დედა ამდგარიეო კიდეც და, ცოტა არ იეოს, შეშინებოდა, რომ მიტო არსადა ჩანდა. ემაწვილი სწორედ დროზედ შემოვიდა და ჰკითხა დედას:

— დედა, ზღვის ნაპირზე იმოდენა მარილი დაუნევიათ, რომ წყალი სულ დაუმლაშებიათ და აღარ დაილევა.

— ოჰ, შენ მოგისწვრია კიდეც ზღვის წყლის გემოს ნახვა! უთხრა სიცილით დედამ — მე სრულებით დამავიწყვა, ჩემო ბიჭიკო, მეთქვა შენთვის, რომ ზღვაში წყალი მლაშეა, მარილიანია და იმ მარილს, რომელსაც ჩვენ საჭმელში ვხმარობთ ზღვიდან იღებენ.

მიტო დაფიქრდა და მერე უცბათ გაეცინა.

— აბა, რას ამბობ, დედა, შენ ალბათ ამ ავადმეოფობაში დაგავიწყდა უველაფერი. განა არ გახსოვს, შარშან ბიძია სანდრომ რომ მარილის ჯვარი მომიტანა, შენ აკი მითხარი მაშინ, რომ მარილი მიწაშია უხარმაზარ ნაჭრებათ და იქიდან იღებენო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— არა, ჩემო კარგო, მე არაფერი დამვიწყებია. ბევრ ადგილებიდან სჭრიან მარილის ქვებს, მაგრამ მარილს ზღვებიდანაც იღებენ და მლაშე ტბებიდანაც. აი, აქ ახლოა-მახლო არსად არის ქვის მარილი. შორიდან მოტანა ძვირათ დაჯდება და მარილს ზღვიდან იღებენ. ჩვენ ლაპარაკს მოვუნდით და უავა სრულებით დაგვავიწყდა. შენ უსათუოდ უნდა გშიოდეს.

სანამ დედა უავას ამზადებდა, მიტო დაფიქრებული იდგა.

— დედა, მე ზღვის პირი კარგა დავათვალიერე, ქვებიც გავშინჯე, ბაგრამ ერთი წიწკნა მარილი არსადა ვნახე. თვითონ წყალიც ისეთი სუფთა და ანკარაა, ნატამალი მარილი შიგ არა ჩანს.

— წადი და აი ამ პატარა ქვაბით ზღვიდან წყალი მოიტანე, უთხრა დედამ—და მაშინ გაჩვენებ მარილს.

მიტომ ერთ წამში მოურბენინა დედას ზღვის წყალი. დედამ ქვაბი ცეცხლზე შედგა, როდესაც წყალი დუღილისაგან სულ ამოშრა, ქვაბის გვერდებზე და ძირში თეთრი წვრილი მარცვლებივით რაღაც დარჩა. დედამ აჩვენა მიტოს ამ მარცვლების გემო.

— ეს ნამდვილი მარილია! წამოიძახა მიტომ.

— ხედავ, ცეცხლმა ამოაშრო წყალი და მარილი კი დარჩა. ახლაც ხომ არ იტყვი, რომ ავადმყოფობაში დამვიწყებია ყველაფერი, უთხრა სიცილით დედამ და თავისი ბიჭიკო გულში ჩაიკრა.

(ბიკოვიდან)

კუდრაჭა.

ეროვნული
ბიბლიოთეკ

პატარა მეხრე



ატარა მეხრე მღერიდა:
,,ვიშ! ტურფა გაზაფხულია,—
რა რიგ მიყვარხარ, ბუნების
ხეიმო,—სიხარულია!..
შენც, მწვანე კაბით მოსილო,
ტყეო და კოხტა ველია,
მინდორო აძწვანებულია,
ტურფავ და საყვარელო!..

მიყვარს მე თქვენი მეჯლისი!..
ფრინველთ საამო სტვენაო...
წყარის რაკრაკი, ჩუხჩუხი,
ტირილას ცაში ფრენაო...

ბარათ რო თოვლი დადნება,—
გალღვება მიწის გულია...
ია, ბუჩქის ჰირს იცინის
კოკობ მკერდ გაღებულია!..

ვიშ! ვიშ! ამ არეს მშვენიერს!
და კმეკლუც მთა და ბარსაო;
წალკოტს ევავილით შემოსილს—
საამოთხის შესადარსაო!..

აქეთ გაჭსედავ—მთებია,—
ზევით—ტყე,ქვეით—ველია,

ზედ სარ-კამეჩებს ვამოვეს,—
დამიდის საქონელიო!..
სან ვმღერი და სან ლაღადა
ჩაკბერავ სალამურსაო...
თან ჩემ ხმებს არე-მდუმარე,
ჩუმათ მიუპერობს ეურსაო...
ვიშ, გაზაფხულო ლამაზო!..
მინდორო, კოსტა ველოო.
მიყვარს მე თქვენი მეჯლისი,
ტურფავ და საყვარელოო!..

ვ. ბორგაძე.



ეროვნული ბიბლიოთეკა

მარწყვის დიდება!

(ზღაპარი.)

ერთ პატარა სოფელში, რომელსაც გვერდზედ მიკრული ჰქონდა ქოჩორა ტყე, ცხოვრობდა ღარიბი დურგალი ცოლით და პატარა ქალით ნანოთ. ინანო ხშირად დაიარებოდა ქოჩორა ტყეში, ჭკრეფდა ყვავილებს, ხილს და ამითი ახარებდა თავის ღარიბ მშობლებს.

ერთხელ ნანო ყვავილების მოსატანათ წავიდა ტყეში. მშვენიერი ნათელი და მზიანი დღე იყო, ნანო ისე გაიტაცა ამ მშვენიერებამ, რომ ვერ გაიგო, როგორ შევიდა შუაგულ ტყეში, სადაც არას დროს არ ეოფილიყო.

ნანო მხიარულათ მიხტუნავდა,—მაგრამ უცბათ შიშმა შეიპყრო, გაქვავებულივით გაჩერდა ერთ ადგილას.

მან დაინახა, რომ პატარა გორაკიდან პირდაპირ მისკენ, ერთი ციცქნა მოკუზული დედაბერი ოხვრით და ქშინვით მოაბიჯებდა,—ხელში დიდი კალათი ეჭირა. საშინელი სანახავისა იყო: გრძელი გალურჯებული ცხვირი ჰქონდა, კაბა მწვანე ეცვა, თავზედ ღია ფერის ქუდი ჰქონდა ჩამოფხატული.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიუახლოვდა თუ არა დედაბერი ნანოს, გაუღიმა და უთხრა:

— ოჰო! შენ აქ ჩემ საშველათ მოხვედი, განა? ეგ კარგათ გიფიქრნია. მე უკვე მოხუცი ვარ და ძნელია ჩემთვის მარტო მუშაობა!..

— დიდი სიამოვნებით გიშველით,—უთხრა ნანომ, —მითხარით, რა უნდა გავაკეთო?..

— მიშველე მარწუვის მოკრეფა... შუადღემდის უნდა გავამსო ეს კალათი ბაზარში წასაღებათ, მე კი ჯერ ერთი მარცვალიც ვერ მიპოვნია!..

ნანომ მიიხედ-მოიხედა და დაინახა, რომ მთელი დედამიწა მარწუვით იყო მოფენილი.

— ეჰე, რამდენი მარწუვია! ჩვენ მალე გავამსებთ მაგ კალათას!—მხიარულათ წამოიძახა ნანომ—მე არას დროს არ მინახავს ამოდენა მარწუვი...

— მართალია, —უთხრა დედაბერმა,— მხოლოდ გახსოვდეს, რომ სანამ კალათს გააავსებ ერთი მარცვალიც არ უნდა შეჭამო. გააამსებ ამ კალათას და იცოდე, რომ არ ინანებ!.. სახლში წასაღებათ მე სხვა კალათს მოგცემ, მიუტანე შენ მშობლებს და გაახარე!..

ნანო გულმოდგინეთ შეუდგა მარწუვის კრეფას, მალე დედაბერის კალათა ბირამდის აიავსო.

— კარგი, გმადლობ!—უთხრა დედაბერმა,—აი შენი საჩუქარი. შალის ქვეშიდან ბატარა კალათა გამოიღო და აუვსო ემაწვილს მარწუვით.

— რაც უფრო ნაკლებ შესჭამ მარწუვს გზაში, იმდენად სახეირო იქნება შენთვის, უთხრა დედაბერმა. — თქვენ უველანი გაძღებით ჩემ ნაჩუქარი მარწუვით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნანომ მადლობა გადუხადა დედაბერს და სახლისკენ გაეშურა.

— დედა, შესძახა კარებში შესვლისთანავე ნანომ,—რა მშვენიერი მარწყვი მოვიტანე!.. ეს თქვა —და უცბათ გაოცებული კალათს მიაჩერდა—კალათი სავსე იყო ოქროს მარცვლებით.

დედამ სიხარულით შეჰკივლა. მამამ კი წამოიძახა:

— ღმერთს გეფიცებით, ეს ნამდვილი ოქროა! საღ იშოვნე, შვილო, ეს სიმდიდრე?

ნანომ დაწვრილებით უამბო, როგორ შეიტეხა ტეემ ის შუაგულში, როგორ შესვდა დედაბერს და რათ აჩუქა მან ეს სიმდიდრე...

იმ დღიდან ღარიბმა ოჯახმა იწყო ბედნიერათ ცხოვრება: იყიდეს ძვირფასი ტანსაცმელი, ავეჯეულობა; სადილს სჭამდენ ოქროთი დაფერილ ჯამებში, ვერცხლის კოვზებით. სწორეთ იმ დროს, როდესაც მათ მოინდომეს უფრო მდიდრულათ ცხოვრება—ოქროს მარცვლები შემოელიათ.

მაშინ მამამ უთხრა ნანოს:

— შენი დედაბერი უსათუოთ ყოველ დღე დადის ტეეში მარწყვის მოსაკრეფათ. წადი, იპოვნე და ეცადე ასიამოვნო წინანდებულათ... მე შენ კვალ-და-კვალ წამოგეგვები და ვთხოვ, რომ ცოტა მოდიდო კალათით მოგვცეს მარწყვი. მისთვის სულ ერთი იქნება, რამდენიც უნდა მოგვცეს!..

მამა-შვილი მაშინათვე გაემგზავრენ ტეისკენ, მაგრამ ესლა ტეე მოღუშული და დაბურული დაუხვდათ,

ეროვნული ბიბლიოთეკა

დედაბერიც არსად სჩანდა. დიდხან იარეს, მაძაძ და ნანომ, — მაგრამ ცარიელები დაბრუნდენ სახლში.

ახლა ნანოსთან ერთათ ტუეში წასვლა სცადა დედამ, — მაგრამ მაინც ხელცარიელები დაბრუნდენ.

ოქროს მარცვლები კი სრულიად შემოელიათ და კვლავინდებულათ მოუხვდათ სიღარიბეში ჩავარდნა.

დიდხანს უეურა ნანომ დედ-მამის ნაღველს და დარდს, ძალიან შეეცოდენ ისინი და ბოლოს გადასწეეტა:

— მე ვცდი ძარტო ძოვძებნო მარწეეის დიდედა, შეიძლება ერთხელ კიდევ გვიშველოს. ძალიან შეეხვეწები!!.

ნანო გაიქცა ტუეში, იქ მხიარულობა დაუხვდა, დილის მხე მშვენიერათ გამოიეურებოდა ხის ტოტებში, ჩიტები ჭიკჭიკობდენ, ციეცები აქა-იქა ხტუნაობდენ... ვერც კი მოასწრო ნანომ გორაკზე შეხედვა, რომ წინ გამოეცხადა დედაბერი, — ის მარწეეის დიდედა, რომელიც ნახა იმ ბედნიერ დღეს.

— შენ კვლავინდებურათ მუეაითი ეოფილხარ, გოგონა! — უთხრა მარწეეის დიდედამ მკვახეთ, — ძალიან კარგია, რომ გინდა უშველო საწეალ ბებერს, აბა, დაიწეე მუშაობა, ჭა ჩქარა!..

ნანოს არაფეერიც არ უთხოვნია მარწეეის დიდედასთვის, მაშინათვე დაიწეო მუშაობა და ისე მუეაითათ ჭკრეფდა მარწეეს, რომ ერთ წუთში გაავსო კალათა.

დედაბერმა გამოიღო შალის ქვეშიდან მეორე ჭა-

ტარა კალათი, გაუვსო მარწყვით და მისცა ნანოს, თანაც უთხრა:

— გაფრთხილებით ჭამე,—ავათ არ გახდე. ვისაც უყვარს ტკბილი და ბევრსა სჭამს, იგი ცუდათ იცხოვრებს!..

ნანო ისე გაახარა ამ საჩუქარმა, რომ მადლობა არც კი გადაუხდია მარწყვის დიდედასთვის. დედაბერმა თავი გადიქნია და ისე უცბათ გაქრა, თითქო დედამიწაში ჩაძვრაო. ნანო მხიარული გაეშურა სახლისკენ და გზაში სულ კალათაში იყურებოდა, ხომ ოქროს მარცვლები არ ბრჭყვინავენო...

ნანოს დედ-მამამ გახარებული შეჰყვირეს, როცა მათი გოგონა შევიდა სახლში და კალათა მაგიდაზე დადგა: კალათაში ოქროს მარცვლები ბრჭყვინავდენ.. მამამ მაშინათვე ჩაყო ხელი კალათაში და დაბღუჯა მუჭით მარცვლები,—მაგრამ უცბათ შიშისაგან შეჰყვირა: ხელში გაჭყლეტილი მარწყვი ეჭირა, რომლიდანაც ლურჯათ წვეთავდა...

ეს რას ნიშნავს? ნუთუ ბებერმა მასხარათ აგვიგდო? ნანოს დედამ ფრთხილათ ამოიღო ორი თითით ოქროს მარცვალი,—მაგრამ უეცრივ ოქროს მარცვალი ჩვეულებრივ მარწყვათ გადიქცა.

— საზიზღარი ჯადოსანი!—შეჰყვირა გაჯავრებულმა დურგალმა...

მერე ნანომ ფრთხილათ ამოიღო ერთი მარცვალი,—და—ო, საკვირველებავ! გოგონას ხელში ოქროს მარცვალი შერჩა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მას შემდეგ ნანო სახლში საზინადრათ გახდა, მხოლოდ ის მარცვალი, რომელიც მის ხელში გაიგლიდა, რჩებოდა ოქროთ. ესლა დედა-მამა ოოველგვარი მოიხოვნილებისთვის ნანოს მიმართავდენ. ეს ძალიან აღელვებდა მათ და ამიტომაც უდიერათ ეკიდებოდენ ბავშს, ტუქსავდენ და უდანაშაულოთ კიცხავდენ. ნანო ძალიან იტანჯებოდა მშობლების ასე მოპყრობით და მთელი დღე ტირილში ატარებდა.

(დასასრული შემდეგ)

ვანო საათაშვილი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მავთავა ეკავი და ეკითელი ჩიტი იადონი

(ზღაპარი მამინ-სიბირიაკისა).

ამათ მტრები ბევრი ჰყავდათ. მაგალითად კატა. უნდა გენახათ, რა თვალებით უყურებდა ის ჩიტებს. თითქოს სძინავსო და კი არა გამოეპარებოდა რა. იადონმა თავისი თვალით ნახა, როგორ დაიჭირა კატამ ჰატარა გამოუცდელი ბელურა და სიამოვნებით ჩაახრამუნა, ბუმბული კი გაანიავა.

— უ, უ, რა საშინელებაა ქორი! ამისგანაც ხეირს არავინ მოელის, დასცურავს ჰაერში, და უცებ დაეცემა როშელიმე გაუფრთხილებელ ჩიტს. იადონმა თითონ ნახა, როგორ მიათრევდა ქორი წიწილს.

ეკავს არ ეშინოდა არც ქორისა, არც კატისა, თვითონაც დიდის სიამოვნებით ჩაახრამუნებდა ჰატარა ჩიტუნიებს. თითონ იადონი იყო ამის მნახველი: ერთხელ ბელურების გუნდი მოსდევდა ეკავს. ისინი მოფრინავდენ კრიახით. იადონს საშინლათ შეეშინდა და ბუდეში დაიმალა.

— მოგვეცი, მოგვეცი, ეს ხომ ავაზაკობაა, ჭეი-ჰინებდენ ბელურები.

ევავი შეეარდა ბუდეში და იადონმა დაინახა, რომ ბრჭყალებში მას მკვდარი გასისხლიანებული ბელურა ეჭირა.

— დეიდა, მაგას რას შვრები?

— გაჩუმდი, თორემ არც შენ დაგაური ხეირს, შესჭეივლა ევავმა. სიბნელეში მას თვალები საშინლათ უნათებდა.

იადონი მიიკუნჭა კუთხეში, რომ არ დაენახა, როგორ სთხლეშდა ევავი ბელურას.

— მეც შემჭამს მალე, ფიქრობდა იადონი.

ევავი რომ გაძღებოდა ხოლმე, კაი გუნებაზე დადგებოდა, გაიწმენდდა ნისკარტს, ჩამოჯდებოდა ხეზედ და ტკბილათ სთვლეშდა.

იადონმა შეაჩმნია, რომ ევავი მეტად გაუძაძღარი იყო. ეველაფერს რაც კი მოხვდებოდა სჭამდა: ხან ჰურს მოათრევდა, ხან დამჰალს ხორცს და რაღაც რაღაცეებს დაეძებდა სანაგვეში. არც გასაკვირველი იყო, რადგან ევავი ერთ დღეში იმოდენს შესჭამდა, რასაც ოცი იადონს მოუნდებოდა დღეში. ის სულ ჭამაზე ფიქრობდა. ზის სადმე მაღლა და საჭმელს უკირკიტებს.

რა ხერხს არ ხმარობდა ის ბედ შავი, რომ ეშოვნა საჭმელი! აი, დაინახა, რომ ბელურები რაღაცას სწიწკნიან. მაშინათვე მივარდება ისიც და თანაც ყვირის: „მეჩქარება, მეჩქარებაო“ ჩაუქროლებს, გამოსტაცებს ნადავლს და ერთ წამს გაქრება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ეგ ხომ ცოდვაა, რათ ართმევ სხვას? ეკითხებოდა აღელვებული იადონი.

— ცოდვაა? თუ კი მშიან?

— სხვებსაც ხომ შიან?

— სხვებმა თვითონ იფიქრონ თავიანთ თავზე. თქვენისთანა განებივრებულ ქალბატონებს გალიებში მზა-მზარეულათ მიართმევენ საჭმლებს და ჩვენ კი თვითონ უნდა ვეზრუნოთ ჩვენთვის. შენ და ბელურას განა ბევრი საჭმელი გესაჭიროებათ, შესჭამთ რამოდენიმე მარცვალს და მთელი დღე მაძღარი სართ.

* *
*

გავიდა ზაფხული. მზემ სითბო დაჰკარგა, დღე დაპატარავდა, სულ წვიმდა, ცივი ქარი ჰქროდა. იადონი უბედურათ გრძნობდა თავს, მეტადრე მაშინ, როდესაც წვიმდა. ევავისთვის კი სულ ერთი იყო, ვერაფერს ვერ ამჩნევდა.

— მერე რა, რომ წვიმს, უკვირდა ევავს, იწვიმებს, იწვიმებს, და გადიღებს.

— ცივა, დეიდა-ჯან, ცივა...

ღამ-ღამეობით იადონი სულ ცუდათ გრძნობდა თავს, კანკალებდა, ევავი კი უჯავრდებოდა: „შე, ნაზო, ნებიერო, აბა რას იტყვი მაშინ, როდესაც ნამდვილი სიცივეები დაგვიდგება და თოვლი მოვა“.

ევავი გაკვირვებული იყო. ეს რა ფრინველია, რომ წვიმისაც ეშინიან, ქარისაც, თოვლისაც. განა ასეთი ცხოვრება შეიძლება? ევავს ესლა კი შეუპარა ეჭვი, „ვინ არის ეს იადონი, რომ იგონებს ფრინველი ვარო“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— გეფიცები, დეიდავ, ფრინველი ვარ, არწმუ-ნებდა თვალცრემლიანი იადონი ევავს,—მხოლოდ მცივა...

— მაგრე იყოს, მე კი მგონია, იადონები ფრინ-ველები არ არიან!!!

იადონი დაიწყებდა ხელახლათ ფიცს, მაგრამ ხან-დისხან ჩაფიქრდებოდა თავის ბედზე. განა უკეთესი არ იქნებოდა, რომ გალიაში დარჩენილიყო. იქ არც სცივდა, აჭმევდენ რიგზე. ის რამოდენჯერმე მიფრინდა კიდეც იმ ფანჯარასთან, სადაც მისი გალია იდგა. გალიაში ეხლა ორი იადონი იჯდა. ჩიტუნია შენა-ტროდა მათ.—აქ კი რა სიცივეა, ჭეიპინებდა ნაღვლი-ანათ იადონი.

ერთხელ მან გამოიხედა ევავის ბუდიდან და მე-ტათ მოსაწყენი სურათი დაინახა. დედა-მიწა თოვ-ლით იყო მოფენილი, თითქოს სუდარაში გახვეულ-ყო. მარცვლები აღარსად იყო. მხოლოდ ზოგი ხეების ტოტები მოჩანდა, რომლის მარცვლებს იადონი ვერა ჭკენკავდა. მეტი მჭაბე იყო. ევავი კი აქებდა. „რა კარგი საჭმელიაო“.

ორი დღე მშიერი იყო ჩვენი იადონი. სასო-წარკვეთილებაში ჩავარდა. რაღა მოელოდა? სიმში-ლით სიკვდილი. ზის იადონი მოწყენილი. ხედავს მოცვინდენ ბაღთან ბავშვები, რაღაც იცოდვილეს, დაჭყარეს გემრიელი მარცვლები და გაიქცენ.

— ეს ბიჭები, სულაც არ არიან ბოროტები,— სთქვა გახარებულმა იადონმა.

— დეიდა, დეიდა, ბიჭებმა საჭმელი მომიტანეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— კარგი საჯმელი კია? ბუ'ხლუნით უპასუხა ევავძა, არ გაბედო იქ მისვლა, გესმის? როგორც კი აჭკენკავ მარცვლებს—მახეში გაებმები.

— მერე რა დამემართება?

— კიდევ გალიაში დაგამწყვდევენ!

იადონი დაფიქრდა: თან შიან, თან გალიაშიც დამწყვდევა არ უნდა. მართალია სიცივეც აწუხებს, სიმშილიც, მაგრამ თავისუფალი ცხოვრება კარგია, მეტადრე, როდესაც არა წვიმს.

რამოდენიმე დღე ითმინა იადონმა, ბოლოს სულმა წასძლია, საკენკი აჭკენკა და მახეში გაება.

— მიშველ'ეთ, მიშველეთ, საბრალო ხმით ჭეიჭინებდა იადონი.—არასოდეს აღარ ავკენკავ მარცვალს, არ მინდა გალიაში ჯდომა.

ეხლა იადონს ეგონა ევავის ბუდისთანა კარგი ქვეყანაზე არაფერი არ არის, იქ ის სრული ბატონი იყო თავის თავისა, სადაც უნდა იქ გაფრინდებოდა. იადონი მწარეთ ტიროდა. ძოფრინდა ამ დროს ევავი, დაინახა რა გაჭირვებაშია მისი პატარა მეგობარი.

— შე სულელო, ეუბნებოდა ევავი,—აკი გითხარი, საკენკს არ მიეკარო მეთქი!

— დეიდაჯან, მეტს აღარ ავკენკავ.

ევავი სწორეთ დროზედ მოეშველა. ბავშვები მორბოდენ, რომ თან წაეყვანათ იადონი. მაგრამ ევავმა დაასწრო, მახიდან გაანთავისუფლა იადონი, ბავშვები დიდხანს დასდევდენ ევავს, ქვას ესროდენ, ლანძღავდენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— რა კარგია თავისუფლება, მოსვენებით ბუდეში ჯდომა, იძახოდა იადონი.

— კარგია, მაშ... ამას იქით კი ჭკვიანათ მოიქეცი... უჭეიპინებდა ევავი.

იადონი კვლავინდელივით ისევ ბუდეში ცხოვრობდა, აღარა ჩიოდა არც სიცივეზე, არც სიმშილზე.

ერთხელ ევავ, გაფრინდა სანადიროთ, ღამეც კი მინდორში გაატარა, ბუდეში რომ დაბრუნდა, იადონი ფეხებ გაფშეკილი დაუხვდა. ევავმა დახედა, გადიქნია თავი და სთქვა:

— მე სულ ამას არ ვამბობდი, რომ ეს ფრინველი არ იყო?

(დასასრული)

ალ. ფ—სი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამოცანები.

(წარმოდგენილი გ. ლეონიძის მიერ.)

ალავი ლავი შავი ქათამი—ავგლიჯე მხარი, შევჭამე. თავი.

მივა-მოვა კვალს არ აჩენს, არ იღლება სიარულით.

ხე-ბრუნდი და ხე-მართალი—ბოლოზე ხუთი მართალი.

ანაგრამა.

(წარმოდგენილი მ. ლელაშვილისაგან.)

პირველი არის ბალახი,
საქონლის გამხარებელი;
მეორე—ყველა სულდგმულის
გონების მატარებელი.
არავინ არის უმისოთ,
სიცოცხლის მომხმარებელი;
ორივე—ოთხი ასოთი
საწერათ სახმარებელი.

შარადა.

(წარმოდგენილი გ. ლეონიძის მიერ)

აიღეთ ტურფა ყვავილი
გამხარებელი გულისა.
მახაროობელი, შიკრიკი
ნარნარი გაზაფხულისა.
ორი ასოსგან შესდგება,
ბოლო წაართვი მარდათა.
მეორე—რიცხვი მცირედი
მოწაფე იღებს ჭირადა,
მთელი—გამოვა მდინარე,—
გარეთ კახეთში მდინარი.
გამოიცანი, ყმაწვილო,
თუ არ ხარ, უჭკვო, მძინარი!..

ეროვნული ბიბლიოთეკა

გ ა ს ა რ თ ო ბ ი.

— წუხელ სიზმარში ვნახე, ვითომ ქადასა ვჭამდი, თქვა დედამ.

— დედილო, თუ ამ ღამესაც ნახავ, მეც შენთან და მაწვინე.

—

— რეზო, რა არის ასეთი ცუდი ნიშნები, უთხრა შვილს დედამ.

— რას ამბობ, დედილო, მასწავლებელმა კი მითხრა, რომ შენთვის ეგ ნიშნებიც ძალიან კარგიაო.

—

— დედილო, იცი რომ წელან კიბიდან ჩამოვარდი?

— მერე, ვინ იცის, როგორ ღრიალებდი.

— არა დედა, მე არ მიტირნია, სულ ერთია შინ არავინ იყო და ვერავინ გაიგებდა.

—

სოსო. თამრო, შენ კბილი ხომ არა გტკივა?

თამრო. არა, რა იყო?

სოსო. მე მინდოდა, შენთვის ჩემი კამფეტები მომებარებინა.

—

— აბა, რათ გეშინია, ლიზიკო, ეგრე ძაღლისა? განა არ იცი, რომ ძაღლები ბავშვებს არა ჰკბენენ.

— მე კი ვიცი, მაგრამ ვაი თუ მაგან არ იცის.

გამოცანებისა. მაკრატელი და ნემსი და ძაფი, ღვინო, კაკალი.

ანაგრამა. შუქი—ქუში.

შარადა. ჭაბუკი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

აღდგომის დილა

ა გაიპო, გალაჟღაჟდა,
მოიალისფერა გული
და სამყაროს გადმოჰფინა
სიამე და სიხარული

მზე—ბუნების თვალ-გვირგვინი
დაბლა ველათ სხივებს ქსელავს,
ვარდ-ყვავილებს ჰკოცნის ნაზათ,
ნიავივით არა სთელავს.

ზვიადი ზღვის ზედა პირი
ოდნავ ტოკავს, ოდნავ ღელავს
„ცა მას დილის სარკედ ხმაროობს“
და შიგ თავის სახეს ჰფერავს.

ფრინველები ახმაურდნენ,
ფრთხიალობენ, ჭიკჭიკობენ,
სხვა და სხვა ხმით დასძახიან,
ტყესა და ველს შეამკობენ.

ნელი სიო ფრთა გაშლილი
მიდის, მოდის და ჩურჩულობს,
ყვავილებზე მომცვრეული
დღეს ნამიც კი ნაკადულობს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყველა ხარობს, ყველა ლაღობს,
არვის გული აღარ წყლულობს,
მას ადიდებს ვინაც ღმერთთან
ხალხის ჭირზე მოციქულობს.

აგერ, აგერ ყრმათა გუნდიც
რა წყნარათ და ტკბილათ მღერის,
შეხეთ მყინვარს—თმა ჭაღარა,
გუნდს რა მშვიდათ გადმომზერის.

ღმერთო, ღმერთო, რა დილაა,
რა მშვიდია და რა წყნარი,
ყველგან ისმის „ქრისტე აღსდგა!“
და გუგუნებს ყველგან ზარი.

შ. მღვიმელი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამშობლოს დაუბრუნდ!

სააღდგომო ამბავი.

ამიდა, ჩემო მამიდა! დაპირებაზე როგორა ხარ. მარიანას ამბავს როდის მოგვიყვები. ახლა ხომ ყველანი დათხოვნილი ვართ, სახლში ვიმყოფებით.

— კარგი, კარგი, დაპირებას აგისრულებთ. დალაგდით... დამიგდეთ ყური. არ შემაჩეროთ, თორემ გაგეპარებით. მაინც ამ დღესასწაულებში ოჯახში ბევრი საქმე მაქვს. და ასე მოჰყვა თავის ამბავს მამიდა:

„ამ თორმეტიოდე წლის წინეთ ჩვენ წმ. დავითის დალმართზე დავიქირავეთ ორი ოთახი. სადგომი მეტათ ნოტიო, ბნელი იყო და სულ ქუჩაში ვატარებდით დროს. ჩვენ მახლობლათ ბევრი ქოხ-მოხები იდგა და მის პატრონს, მოხუცებულ დედაკაცს, მუდამ ვაივაგლახში ვხედავდით: წამ და უწუმ ბოქაულები კარს მოადგებოდენ, ხან საერო გადასახადს, ხან სახელმწიფოს და ხან ქალაქის გადასახადს სთხოვდენ. მოხუცებული თითქოს საომრათ მომზადებული დაეხვდებოდა მათ, ეჩხუბებოდა და ილანძღებოდა: როდის იქნება ეს ოხერი სახლი გავყიდო და მოვიშოროვო. მერე მოგვადგებოდა დგმურებს და ჯავრს ჩვენზე იყრიდა.

ერთ საღამოს ჩვენ მეზობლებთა შორის ატყდა ჩოჩქოლი: სახლები გაიყიდა! სახლები გაიყიდა! გაიძახოდენ. მართლაც სახლის პატრონმა წამოგვძახა: ეხლა მეც თქვენსავით სხვის დგმური ვიქნებიო.

„გარდა ორიოდ ოთახისა, სადაც მე ვიდეგი და სადაც თვითონ სახლის პატრონი გადმოვიდა, ყველაფერი ერთბაშათ დაანგრიეს და თითქოს რაღაც სასწაულით ხუთ-ექვს თვეში მშვენიერი სამ სართულიანი სახლი გამოსჩიმეს. ფულის საქმე არ იყო, ჩემო ყმაწვილებო! თურმე მდიდარ კაცს ეყიდნა. ჰაერი

ეროვნული ბიბლიოთეკა

კარგია ამ ადგილასო, და თავის სადგომათ სწორეთ საარაკოთ მოაწყო: მარმარილოს კიბეები, სვეტები, აუზები, ბრინჯაოს ქანდაკებანი. რა გინდა სულო და გულოროომ აქ არ იყო. ბაღი და სახლის კედლები უცხო ფერადოვანი ყვავილებით შეამკეს და შადრევნების შხეფებს ელექტრონის სინათლეზე ალმაზივით ლაპლაპი გაჰქონდათ. მეზობლობა გაშტერებული შესცქეროდა. ყველანი გულის ფანცქალით მოველოდით იმ საოცარ ხალხს, ვინც აქ დასახლდებოდა.

„ერთ მშვენიერ დღეს ჩვენ მოლოდინს ბოლო მოეღო: მობრძანდა სახლის პატრონი, რომელსაც ეძახოდენ „ბატონი კონსტანტინე“ თავისი ცოლ-შვილით. კაცი საშინელი უქმური შეხედულობისა იყო, სამაგიეროთ მისი ფუნჩულა ლამაზი ცოლი ანნა მეტათ კეთილ ადამიანათ გვეჩვენა. მათი ორი პატარა ქალი ელისო და მარიანა თავით ფეხამდის თეთრ ტანისამოსში გამოწყობილნი ანგელოზებათ მოგვეჩვენენ. ყმაწვილების მომვლელი უცხოელი ქალი—გუვერნანტკა, ჩვენებური თავდახურული დარბაისელი ქალი და სხვა აუარებელი მოსამსახურენი ბუზებივით ტრიალებდენ ამ ურიცხვ ოთახებში. ჩვენთვის სწორეთ კაი დროს გატარება დადგა და ამ ზღაპრულ სიმდიდრის გამო ბევრი მითქმა-მოთქმა ატყდა და სანამ ძირის ძირათ არ გამოვიძიეთ არ მოვისვენეთ.

„თურმე ეს კაცი წინეთაც მდიდრის შვილი ყოფილიყო, ბაქოში ბევრი მიწები ჰქონოდათ და ამ ცოტა ხანში ამ მიწებში ამოეხეთქა დიდ ძალ ნავთს და ამითი აუარებელი სიმდიდრე შეეძინა. მაინც ნათქვამია: მიეცეს და მიემატოსო. ბატონ კონსტანტინეს ეტყობოდა გაგიჟებით უყვარდა ცოლ-შვილი და არას ზოგავდა მათთვის, მაგრამ ღარიბ ხალხს ახლოს არ იკარებდა. მისი ცოლი ანნა კი მუდამ გარშემოხვეული იყო ღარიბებით და საწყლებით, ბევრნი მათგანი მისივე ნათესავნი იყვენ.

„კეთილ ანნას მოწყალების გაცემის დროს ყოველთვის გვერდში უდგა პატარა მარიანა, რომელიც ხასიათით ძალიან მიეგვანებოდა დედას. უცხოელი გუვერნანტკა გულზე სკდებოდა, არ მოსწონდა მარიანას მიდრეკილება, თითქოს ეშინოდა, რომ მას აღარ გასწვდება მათი სიმდიდრე და ცდილობდა ელისო მოეშორებინა დედისაგან.

ეროვნული ბიბლიოთ.

„ასეთი ბედნიერი ცხოვრება ამათ დიდხანს არ გასწვდათ. ერთხელ მამამ კარს მოაყენა მშვენიერი ეტლი საგანგებო ცხენებით შებმული და დააპირა ცოლშვილის სასეირნოთ წაყვანა. ჩვენ ერთმანერთს არ ვაცლიდით, გვინდოდა შეგვეხედნა ამ თეთრებში მორთულ ანგელოზებისთვის. მარიანა ალერსით ყველას გვიკრავდა თავს, ელისო კი გაბუნჩული ქვეშ-ქვეშათ გამოიყურებოდა. ჩვენ სიამოვნებით გავადევნეთ თვალი ახალ წასულებს.

„სულ არ გასულა ნახევარი საათი, რომ მათ სახლში ატყდა ჩოჩქოლი, გარბენ-გამორბენა. ჩვენ გამოვეკრიფენით ქუჩაში და ნურა თვალმა ნუ ნახოს ის, რაც ჩვენ დავინახეთ. მოსამსახურეებს მარიანა ხელებზედ გადასვენებული მოჰქონდათ, უშლიაპოთ, თმებ გაწეწილი.

— მოკვდა, მოკვდა! მამიდავ, წამოიძახეს ყმაწვილებმა.

„არა, ბავშვი ფერმკრთალი იყო, ილიმებოდა. ამავე დროს ნაქირავები ეტლით კონსტანტინემ მოიყვანა აღშფოთებული, აღელვებული ცოლი და ელისო. დედას კიბეზევე მიაგებეს მარიანა. ანნამ ქვითინით და ტირილით შვილი გულში ჩაიკრა.

„როგორც შევიტყეთ მერმე საქმე აი ასე ყოფილიყო: ცხენები კარგა გახედნილი არა ყოფილიყვენ, ქუჩის შესახვევში ყალყზე შემდგარიყვენ, მარიანას შეშინებოდა და გადმომხტარიყო, ამაზე დედას წივილ-კივილი მოერთო. ამ დროს ცხენებს გაეტაცნათ ეტლი, მეეტლეს ველარ შეეკავებინა ცხენები. ერთს წამს მარიანა მათ თვალს ასცილდა, აღარ მოჩანდა, დედის გული როგორ მოითმენდა ამას და ანნას გულს შემოეყარა. ცხენები მალე შეაყენეს, ანნა გონზე მოიყვანეს და ქმარმა საჩქაროთ სახლში წამოიყვანა ცოლი და ელისო. მარიანა შუა ქუჩაში მოჰყოლოდა ტირილს. მახლობლათ მყოფ მედუქნეს იმ წამსვე შეეტყობინებინა პატრონებისთვის და ის უფრო ადრე მოეყვანოთ სახლში.

„თითქოს ყველაფერი დაწყნარდა, დამშვიდდა, გარედან ვერაფერი ვერ შევამჩნიეთ, მაგრამ მას აქეთ ანნა ფეხზე აღარ დაგვინახავს. „ნაღველა გახეთქიაო, ამბობდენ. მილეთი ექიმები დაეხვიენ, ფულს ბზესავით აბნევდენ, მაგრამ ვერა უშველეს რა, საბრალო სულ ერთ კვირაში გათავდა. ის თავდახურელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქალი, ელისაბედი, თურმე ანნას ალმზრდელი ყოფილიყო დამის ნაღველს და მწუხარებას საზღვარი არა ჰქონდა. პატარა ქალები მაშინვე სხვაგან გაისტუმრეს, მათ მკვდარი დედა არ ანახვეს და მას აქეთ ალარც მარიანა გამობრუნებულა, ფერმკრთალი სულ ნაღვლიანათ გამოიყურებოდა.

„ანნას დამარხვის შემდეგ სახლი დაცარიელდა, ჭაჭანება არავინ მოჩანდა, ჩაკეტეს, ჩაბეჭდეს. მამამ გაიტაცა თივისი ორი ქალიშვილი გუვერნატკით სამზღვარ-გარეთ და კარკა ხანს ალარაფერი არა ვიცოდით რა იმათი.

„ერთხელ დამხვდა მათთან მოსამსახურეთ ნამყოფი და მითხრა შემდეგი—წავიდენ თუ არა ისინი სამზღვარ გარეთ ერთი ორი თვის შემდეგ დაიბარეს ქალბატონის ალმზრდელი ელისაბედი, რადგან მარიანა ძალიან თურმე ნაღვლობდა, მასთან კი შეჩვეული იყო, იფიქრეს,—იქნება კარგათ გახდესო.

„ჩვენი სადგომი თანდათან უფრო დანოტიოვდა, შიგ ალარ დაიდგომებოდა და სხვაგან მოვძებნეთ ბინა. დაუნანებლათ მოვშორდი ამ ჩაკეტილ-ჩაბეჭდილს სასახლეს, სადაც ბედნიერებამ ასე მოკლე ხანს დაჰყო.

„რამდენსაც გავივლიდი მთაწმინდაში და შევხედავდი ამ დიდებულ ჩაკეტილ სახლს, მომაგონდებოდა მარიანა და გულში გავიძახოდი: ნეტა თუ რა დაემართა იმ ბავშვს?

„შარშან, ალდგომის წინა დღეებში, ხელ ახლათ მომიხვდა იმ უცნაური სახლის გვერდით გავლა და რანაირათ გამიკვირდა, როდესაც ყველა ფანჯრები გაღებული დამიხვდა, დიდი ალაგ-დალაგება ვნახე. მაშინვე ძიველ ახლოს და ერთ ჩემ ძველ მეზობელს ვკითხე—რა ამბავია მეთქი.

—„დახეთ სასწაულს, ანნას სპეტაკ სულს ისინი ისევ აქ მოჰყავსო!

„მე ხმა ალარ გავეცი და ვიფიქრე: უნდა უსათუოდ ყველაფერი დაწვრილებით შევიტყო მეთქი.

„და ხშირათ დავიწყე იქით მხარეს სიარული. ერთხელ დილით, კვირაცხოვლობას ამოვიარე და შევხედე სახლს. აივანზე ვილაც თეთრი კაბით წერწეტი ტანის ყმაწვილი ქალი დავინახე. სახე მკრთალი, მაგრამ დამშვიდებული გამომეტყველებისა ჰქონდა, მაშინვე ვიცანი, რომ მარიანა უნდა ყოფილიყო, მე იქვე ერთი სახლის კიბეზე ჩამოვჯექი და განვიძ-

ეროვნული ბიბლიოთ.

რახე უთუოდ ყველაფერი შემეტყო. ამ დროს ამ დიდი სახლის კიბეზე აიტანეს აუარებელი მშვენიერი ყვავილები. ვიღაც ახალ-გაზრდა ქალი, სადათ ჩაცმული შეჰყვა ყვავილებს სახლში. მე ყველაფერს ცნობის მოყვარეობით თვალს ვადევნებდი. მერე ჩამოვიდა კიბეებზე ის თეთრ-კაბიანი ქალი, რომელიც წინეთ აივანზე დავინახე, თავზე უბრალო ყვითელი ჩალის შლიაპა ეხურა, ხელში ეჭირა სახარება. კარგათ დავაცქერდი—ნამდვილათ მარიანა იყო, მას გვერდით მოსდევდა ახლად მოსული ყმაწვილი ქალი, რომელსაც დიდი კალათა ყვავილებით სავსე ხელში ეჭირა. ესენი მხიარულათ განშორდენ სახლს, შესახვევში მარიანამ თავის მეგობარს კლავიკლავში გაუყარა და სასაფლაოს გზისკენ შეუხვიეს. უცბათ ავიხედე ზემოთ და ფანჯარაში დავინახე გაჭაღარებული კაცი, რომელსაც გულზე გაკეთებული ჰქონდა ყვავილის პატარა კონა. ეს კაცი მივაგვანე მარიანას მაძას, ის სიყვარულით გაჰყურებდა თავის მიმავალ ქალიშვილს.

მე გაოცებული ამ სანახაობით ადგილიდან ვერ ვიძროდი. ამ დროს სახლიდან გამოვიდა მოხუცებული მოსამსახურე, მომიახლოვდა და მითხრა:—გაგიმარჯოს ძველო მეზობელო?

— „შენა ხარ, გრიგოლ, რამდენი წელიწადია არ მინახავხარ! ვუთხარი მე.

— „კაი ათი წელიწადი იქნება! ძლივს არ მოვედით ჩვენ მიწა-წყალში. გვეყო ამოდენა ხეტიალი. მარიანა რომ არ ყოფილიყო, არც ახლა დავბრუნდებოდით და ჩემ გამოკითხვაზე შემდეგს მომიყვა:

—„მეც თან, სამზღვარ გარეთ წამიყვანეს. ბატონი ძალიან ნაღვლობდა, მწუხარეთ იყო. ბავშვები ჯერ გაერთენ ახალ-ახალი ქვეყნების ნახვით. ის ჯოჯო-გუვერნანტკა დიასახლობდა, მთელი ოჯახი ხელში ჩაიგდო, უხაროდა რომ თავის ქვეყანაშია. ყმაწვილებს სასტიკათ ეკცეოდა: „წესიერ ცხოვრებას უნდა შევაჩვიოვო „გაიძახოდა წამ და უწუმ. ყმაწვილებს სახლში ქართულ ლაპარაკს არ უკრძალავდა, მაგრამ არც მისი გაგონება ეჭაშნიკებოდა. ჩემს მეტი მაინც არავინ ლაპარაკობდა ქართულათ. ალერს მოკლებული ბავშვები ხშირათ ნებდენ თავიანთ დედას; მამა თუ ეალერსებოდა, ისიც გუ-

ვერნანტკის ჩუმათ, რადგან ის უსაყვედურებდა—ბავშვებს ნუ გაანაზღებთო. თუ აქედან მოუვიდოდათ ბებია და ნათესავებისაგან ქართულათ ნაწერი წერილი ატყდებოდა ერთი აყალმაყალი: ვინ წაგვიკითხავსო? ელისომ როგორც უფროსმა თავის დაჭერა იცოდა, არც გულჩვილი იყო მარიანასავით და ყველაფერს უჯერებდა გუვერნანტკას. მარიანას კი ვერ დაევიწყნა დედა, კითხულობდა წამდაუწუმ ელისაბედს, ნაღვლობდა, არაფერი ეხალისებოდა და ბოლოს ავათმყოფობაც დაიწყო. ბატონმა მაშინვე გამოიწერა ელისაბედი. მის დანახვაზე მარიანა მოცოცხლდა, დედის სიყვარული მასზე გადიტანა. გუვერნანტკას კი ეჯავრებოდა ელისაბედი, მაგრამ ვერა გააწყო რა და სახლში ატყდა ჩუმი ომი. ელისაბედს აქ დაეტოვებინა თავისი შვილები, ნათესავები და სულ იმის ცდაში იყო, რომ ყმაწვილებში სამშობლოს დიდი სიყვარული ჩაენერგა და როგორმე გამოეტყუებინა ისინი თავის ქვეყანაში, მუდამ ქართულათ ელაპარაკებოდა, რაც ძალიან აბრაზებდა გუვერნატკას, მუდამ სამშობლო ქვეყნის ამბებს უამბობდა და მართლაც მარიანაზე ისეთი ვავლენა იქონია, რომ ის სულ იმ ოცნებებში იყო რომ საქართველოში დაბრუნებულიყო, თავის ნათესავებში და დედის საფლავთან ახლოს ეცხოვრა.

„მაგრამ რაღაც ცა მოწმენდილზე ელისაბედი ავათ გახდა და მარიანას კლავზე გადიცვალა. ეს იყო და ეს. მარიანა მიეცა ჩუმ, გამოურკვეველ მწუხარებას, აღარაფერი არ ეხალისებოდა, არაფერი თვალში არ მოსდიოდა. უკვე ჩვიდმეტი წლისა შესრულდა,—მაგრამ მისთვის არც ტანთ ჩაცმა იყო სახალისო და არც რაიმე დროს გატარება. ელისო გათხოვდა, მარიანამ ახლა უფრო და უფრო მისცა თავი სევდას. ექიმები მოიღალენ, ათასნაირ წამლებს ახმარებდენ, გულის გადასაყოლათ სხვა და სხვა ქალაქებში დაჰყავდათ, მაგრამ გამობრუნების ნიშანი არა ეტყობოდა რა. ბოლოს ვიღამაც ურჩია: წაიყვანეთ სამშობლოში, იქნება გამობრუნდესო. მართლაც რაც ქალი აქ მოიყვანეს გამოკეთდა, გამოკოცხლდა. აი ის ქალი ახლა მასთან რომ ნახეთ, ელისაბედის ქალიშვილია და მან ძალიან ხელი შეუწყო და გაართო“.

„გრიგოლი გამშორდა, მეც სახლში წამოვედი... მას აქეთ მარიანას ყველანი ხედავენ მათ ეკლესიასთან ღარიბ ქალთა სასწავლებელში, სადაც ხელსაქმეს ასწავლიდა, წიგნებს უკითხავდა და ყმაწვილებისთვის ნამდვილ მფარველ ანგელოზათ შეიქნა. კვირა დღეობით კი ელისაბედის ქალის თანხლებით დედის საფლავს ინახულებდა ხოლმე.

ან. წერეთლისა.

ეროვნული ბიბლიოთ

ბედნიერება რისთვის არის

ფრთა შეკვეცილი

დიდი ხანია მას შემდეგ, რაც დედა-მიწა მშვენიერ—დიდ ბაღს წარმოადგენდა. მასში ყველაფერი ყვაოდა და სურნელებდა. იქ დამკვიდრებული ხალხი არა ნაკლებ მშვენიერი იყო, ვიდრე გარემო ბუნება: მათ თვალებში მუდამ ლაჟვარდი ცა იხატებოდა, და სული კი მათი ნაკადულთა და ტბათა სიწმინდეს უდრიდა. მაგრამ იმ ბაღის ყველაზე ძვირფასს განძს პატარა ფრთოსანი შეადგენდა, რომელსაც ერქვა ბედნიერება. მუდამ, როცა კი მისი ხმა მაღალ სივრცეში სასიხარულო ჰანგებს რაკრაკებდა, ყველა მსმენელი სადღაც შორს, შორს თვით მზისაკენ მიისწრაფოდა და თან ყველას ის ეზმანებოდა, რომ მზე მათ გულში სხივებს აფრქვევდა. როცა კი ფრინველი ერთი ბუჩქიდან მეორეზედ გადაფრინდებოდა, მათი სურვილი მხოლოდ ის იყო, რომ მუდამ ასე მდგარიყვნენ და ეცქირათ ფრთა-მსუბუქა საყვარელ მგალობლისათვის. მაგრამ ერხელ იმათ შორის უცხო მხრიდან გადმოხვეწილი ვიღაც უცნობი ჩამოერიათ, რომლის თვალებშიაც ღამის სიბნელე იხატებოდა, რომლის ფერმკრთალ სახესაც თვისივე მზერა ღრუბლებში გამოკლაკნილი ელვასაებ უნათებდა; თმები კი როგორც ღრუბლის ნაფლეთები გარშემო ისე ეფინებოდა; ის მიდიოდა აყვავებულ ბაღში, მაგრამ მისი გული კი ვერა გრძნობდა გარემო მშვენიერებას და სილამაზეს, რადგან ბორიტებით და შურით ჰქონდა იგი აღვსილი.

უცებ მაღლიდან ისეთი მშვენიერი სიმღერა გაისმა, რომელიც მას თავის სიცოცხლეში არა სმენოდა. ყოველი

ეროვნული ბიბლიოთ.

მისი არსება აღივსო ტკბილი ლტოლვილებით, მას აღეძრა სურვილი ისე უძრავათ დგომისა და დაუსრულებელი ყურის გდებისა.

მაგრამ სიმღერა უეცრად შესწყდა. ბოროტ თვალებიანმა კაცმა მაღლა აიხედა და თავის პირდაპირ დაინახა ტოტზედ ჩამომჯდარი პაწია ფრთოსანი. როგორც ცოცხალი ნაჭერი ცისარტყელისა ისე ბრწყინავდნენ და ბჟყვრიალებდნენ მშვენიერი ფრთები ამ გასაოცარ არსებისა.

— ეს ჩემი უნდა შეიქმნეს, წარმოსთქვა მან,—სხვისათვის არასოდეს არ უნდა იგალობოს, ჩავსვამ მას გალიაში და მხოლოდ მე დავსტკბები მისი მშვენიერებით. იმღერებს ჩემთვის და მხოლოდ ჩემთვის.

ამ სიტყვებით მან აჩქარებით და სიხარბით ფრინველისკენ ხელი გააწვდინა. პატარა მგალობელი მუდამ ხალხთან ცხოვრობდა და იცოდა რა რიგათაც უყვარდა ის მათ. ხელზედ დაჯდა ნდობით, მაგრამ მოულოდნელად დაინახა ბოროტებით და შურით სავსე მიჩერებული თვალები და იმ წამსვე იგრძნო ძალოვანი და ბოროტი თითები, როგორ სწურავდნენ მის ნაზ სხეულს. მან სასოწარკვეთილებით შეიფრთხიალა, მთელი ძალ-ღონით გამოიწია და თან ისეთი მწუხარე და ნაღვლიანი ხმით შესჭყივლა, რომ კაცმა შიშისაგან უნებურად ხელი გაშალა.

მის წინ იმ წამსვე რაღაც მშვენიერებამ შეაპრიალა და ხშირ ხეებს იქით გაჭრა და სამუდამოთ გარდაიკარგა.

მას შემდეგ რაც ხმა ტკბილი ბედნიერება ბოროტს და შურს შეეყარა ხალხთა შორის აღარა სცხოვრობს.

— მათთვის არასოდეს ბოროტება არ მიმიყენებია, საუკეთესო სიმღერები მხოლოდ მათთვის წკრიალებდნენ და მათ კი ისე შეუბრალებლათ შემილახეს ეს ჩემი ფრთები. მაგრამ-დეე, ეს ასე იყოს! მე მაინც კიდევ ვიმღერებ, მხოლოდ ახლოს კი ვეღარავინ ვერ მიხილავენ.

მას შემდეგ მხოლოდ შორიდან მოისმოდა ბედნიერების სიმღერა. მას გაგონებაზედ ხალხი მასთან შესაყრელათ წინ მიილტოდა, მაგრამ რაც უნდა ბევრი ევლოთ, სიმღერა მაინც სულ ისე შორს ისმოდა, რომ მათ ახლა ისე ეჩვენათ, რომ ის გასაოცარი ჰანგები იმათვე გულში ჰკრთოდა და იბადებოდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიყუჩდებოდა თუ არა ბედნიერების სიმღერა, მათ შიგნ-ხმები ისევე უცებ დადუმდებოდენ და ეს კი იმას ნიშნავდა, რომ ბედნიერება შორით მიჰქროდა და მიფრინავდა. ყველაზედ ძლიერ ბედნიერებას ბავშვები უყვარდა, ამ უმანკოთა მოკრიალებული თვალები მშვენიერ ბაღ ზემოდ მოკამკამე ლაჟვარდ ცას აგონემდა. ბევრჯელ იგი ღამე შეუმჩნევლათ ბავშვის ოთახში შეფრინდებოდა, სადმე თავთან ჩამოჯდებოდა და მღერდა იქ თავის ნაზ საგალობელსა. გაფხიზლებული ბავშვები გაოცებით თვალებს განივრად ახელდნენ და სიბნელეში ბედნიერების ბჟუვრიალა ფრთებზედ ილიმებოდნენ, და მისკენ მიისწრაფოდნენ.

— ციდან მთვარის მოტაცება სურს—ასე ხუმრობდნენ მათი მშობლები. ბედნიერებაკი ივალობებდა ბევრს უცხო სიმღერებს და ისევ გაფრინდებოდა.

როცა კი ბედნიერება ახალგაზრდა ქალწულთ და მოზარდ ყმაწვილებს ნდობით, იმედით და რწმენით სავსე თვალებით ხედავდა, იგი სადმე შორი-ახლო ჩამოჯდებოდა და ამ წამს მაღლა გაისმოდა სასიხარულო კრიმანჭულები. ო, რა მშვენიერ, ნათლათ მოსილ და სხიოსნათ ეჩვენებოდათ მათ სიცოცხლე.

— მუდამ ვიქნებით ბედნიერები, მუდამ ასე გვეყვარება ერთმანეთი—ასე ამბობდნენ მაშინ ყმაწვილები და ქალწულნი.

ხდებოდა ისე რომ, ვინც კი ცხოვრებას შეიგნებდა, რა იყო იგი, ისინიც მოჰკრავდნენ თვალს შორი-ახლო გაფრენილ ბედნიერებას და იმის ნაცვლად, რომ მთელი არსებით მისცემოდნენ მის უცხო მღერას, ისინი მხოლოდ მშვენიერ ფრთების გასინჯვას ცდილობდნენ და სწორეთ მაშინ ამჩნევდნენ მის შელახულ, დაჭმუჭნულ ფრთებს.

— შორიდან უფრო რა შეუდარებელ მშვენიერებათ გვეჩვენებოდა, ასე ამბობდნენ ისინი,—საკვირველია, რომ აქამდინ ვერ ვამჩნევდით მის შელახულ ფრთებს. მის სამხიარულო სიმღერებში კი ზოგჯერ მწუხარების და ტანჯვის ხმა ნათლათ ისმოდა. არა, ალბათ ეს ის ბედნიერება არ არის, რომელზედაც ჩვენი მამა-პაპა გვიამბობდა, იმ დროის ბედნიერებას, როცა ისინი აყვავებულ და მშვენიერ ბაღში ცხოვრობდნენ. ჩვენ ბავშვებს კი ის უნდა უთხრათ, რომ მხოლოდ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ერთათ ერთ, ნამდვილს და ხმა ტკბილ ბედნიერების ძიებისათვის წავიდნენ.

და აი, ამაზედ მოუთხრობდნენ ისინი თავიანთ შვილებს და შვილი-შვილებს

ბევრი, ფრიად ბევრი მიდიოდნენ ბედნიერების საძიებლათ და ხდებოდა რომ, გზათ მიმავალნი ჰოულობდნენ მხოლოდ მშვენიერ ბჟყვრიალა ფრთებს, რომელნიც გაფრენის დროს ბედნიერებას სცვიოდა. ხალხი მათ სიყვარულს, დიდებას და სიმდიდრეს უწოდებდა. ისინი ერთმანეთში სიდიდით და ფერით განსხვავდებოდნენ, მაგრამ ყოველთვის თითოს ცალ-ცალკე ჰოულობდნენ და ხალხი კი მუდამ მას ოცნებობდა, რომ აწინდელი ბედნიერება ისეთივე გაუხრწნელა მშვენიერი ეპოვათ. აი რისთვისაც მაზედ ისე დაუღალავათ ლაპარაკობდნენ და ელოდნენ მას, როცა იგი დედა მიწას დაუბრუნდებოდა.

ბედნიერება კი იმას უცდიდა, როდესაც დედა-მიწა ისევ მშვენიერ ბაღათ გარდაიქცეოდა, რადგან ყველასთვის თვისი უცხო და უკვდავი სიმღერების გალობა მხოლოდ იქ სურდა.

(თარგმანი)

ცქვიტი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

წითელი კვერცხი.

კომედია სამ მოქმედებათ

გადმოკეთებული რუსულიდან.

მომქმედნი პირნი:

მარიამი დედა.

ნიკო, **ქეთო**, **გოგი**, **კოლა** — ამისი შვილები, მოსწავლეები.

არჩილი, **სანდრო**, **ფეფო** — ამათი მეზობლები.

გოგო.

I მოქმედება

ქეთო, ნიკო, გოგი და კოლა.

(სასადილო ოთახია. შუა ოთახში მაგიდა სდგას. ოთახის ერთ კუთხეში პატარა მაგიდაა, მეორეში—ჭურჭლის დიდი შკაფი, მესამეში—თაროს წიგნებით და გაზეთებით. მსახური გოგო ალაგებს ოთახს. მიივლ-მოივლის და უთქმელათ გავა).

ქეთო. (შემოდის. ხელში მოზრდილი ეუთი უჭირავს, რომელსაც დასდგამს მაგიდაზე. გახსნის და ამოალაგებს სხვა და სხვა ფერ ძაფებს კანვაზე საკერავს, ნემსებს მაკრატელს, სიხარულით). დედა, დედა!.. რა კარგი რამაა... მერე რამდენია შენი ჭირიმე! (გულზე მიიკრავს და უალერსებს)

გოგი. (შემოდის და ქეთოს უკან კაჩერდება) როგორცა ვხედავ ძრიელ გაგახარა, ქეთო, მაგ საალდგომო საჩუქარმა... არა?

ქეთო. (შეკრთება) ოჰ!.. (დარცხვენით) მართლა რომ გულით მიხარიან!..

გოგი. მერე ვის რას შეუკერავ?

ქეთო. რა ვიცი... შევკერავ ბალიშებს... მუთაქებს... აი რაც აქ სურათებშია დახატული.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გოგი. მე ხომ შემიკერავ რამეს?

ქეთო. ვერ მოგართვი... თუ შევკერავ—ეგ მე ვიცი ვისთვის!.. (უცბათ ჭკეთხვეს) შენ რაღა მიიღე?

გოგი. რასაც ვნატრობდი!

ქეთო. შენმა მზემ.

გოგი. თავი არ მომიკვდება!..მე რკინის ცხენი მივიღე, მხოლოთ ჩემი ფეხებით საგორებელი.

ქეთო. რა კარგია, რომ ნატვრა აგისრულდა!..

გოგი. იმიტომაც მიხარიან! (სიხარულით ფეხებს ათამაშებს).

ქეთო. მეც მათხოვებ ხოლმე „ველოსიპედს“, გოგი, არა?

გოგი. თვალი ბუცუცს! (იფანჯზე თითს დაიდებს).

ნიკო. (სიცილ-ხარხარით შემორბის) გოგი, ქეთო, რო იცოდეთ რა კარგი რამაა, რა კარგი!..

ორივენი. რა?...

ნიკო. ჩემი საჩუქარი!..ეს არი დედამ მითხრა, რომ მე ცხენს მაჩუქებენ. ხვალვე აქ მოიყვანენ და აბა რა თქმა უნდა (თავ მაღმწონეთ) ქუჩებში გავისეირნებ. მერე ამ ზაფხულს რანაირათ ვაჯირითებ!.. (წარმოიდგენს, რომ ცხენზე ზის, ხელებს გაშლის და ფეხებს აუოდებს).

გოგი. იცი, ქეთო! სოფელში როცა წავალთ, შენ ჩვენ ბალკონზე წამოჯექ, ფეხი ფეხზე გადიდე, შენი საკერავები მუხლზე დაიდე, და ჰკერე. თან ერთი თვალით გვიცქირე ხოლმე, როგორ გავაჯიბრებთ მე და ნიკო ჩვენ დიდ მინდორზე, მე ჩემ რკინის რაშს და ეგ თავის ბედაურს.

ნიკო. გოგი, მეც ხომ მათხოვებ ხოლმე შენს ველოსიპედს? მე კიდე ჩემ ცხენს გაგაჭენებინებ!

გოგი. ძლიერ მეჭირვება შენი ცხენი! ჩემ რკინის რაშის შემდეგ, თუ არ დაგიშლია, შენს ცხენზე შევჯდები!..

ნიკო. განა მართლა გეუბნები, მე კი ვიკადრებ (გაჯავრებით) შენს რკინას, ვგონია!

გოგი. უფრო კარგი, შენ შენთვის, მე ჩემთვის!

ქეთო. (რომელიც გართული იყო თავის საჩუქრის შინაგანში, უცბათ) ბიჭებო, ლიტანიაზე, რომელ ეკლესიაში მიდიხართ? ან ვისთან უნდა გაიხსნილოთ.

გოგი. გაიხსნილო! მე ვიცი არაფერი გიჭამია!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქეთო. მიჭამია, რა არის რო მიჭამია? ასე იციან თორე...

ნიკო. მე, როგორც მგალობელი, ხოროსთან ერთათ ვგალობ და შემდეგ კი, მგონია უფროს მასწავლებელთან წავალთ.

გოგი. მე და ჩემი ამხანაგები შვიდს ეკლესიაში ვაპირებთ უეჭველათ წასვლას.

ქეთო. ამბობენ კარგია, როცა აღდგომის ღამეს შვიდს ეკლესიაში ილოცებო. მეც წამიყვანეთ!..

ნიკო. (სიცილით) ჰო, რასაკვირველია, ჩურჩხელებს და ორებს აღარ მიიღებთ, შემდეგ კლასშიაც არხეინად გადაბრძანდებით!..

გოგი. (წყრომით) კარგია ერთი და!.. შენც რო ჩვენ დაგვცინი!..

ნიკო. ჩვენი ბრძენი სადღა ბრძანდება?

გოგი. მართლა, იმან რაღა მიიღო საჩუქრათ?

ქეთო. იმან მიიღო... აბა, თუ ბიჭები ხართ და გამოიცნობთ!

გოგი. (დაცინვით) მე ვიცი საბავშვო რამეს მიიღებდა.

ნიკო. (სიცილით) აბა, რა თქმა უნდა!

ქეთო. დიდი წიგნი მიიღო „ცხოველთა ცხოვრება“ მშვენიერი ყდით. რა გინდა, რომ იქ არ იყოს. მეტის მეტი კარგია!..

გოგი. ეხლა სადა არი კოლა?

ნიკო. ალბათ სადმე კუთხეში ზის და სანამ არ წაიკითხავს არ მოეშვება.

გოგი. წარმოიდგინე, სადაც არ გინდა იმას შეხვდებით. ჩადგება ე ჩვენ უბნის გოგო-ბიჭებში და რაზე არ გინდა, რომ მან არ უამბოს მათ.

ქეთო. ამბობს, რომ რაც მე მისწავლია ის იმას უნდა გაუზიარო და გადავცე ვინც არა იცის რაო. (დაცინვით) ვითომ ხალხს ასწავლის...

ნიკო და გოგი. (ერთად) სულელი, მეტიჩარა!..

კოლა. (შემოდის, ხელში ედიანი დიდი წიგნი უჭირავს. დაძმების დანახვაზე შეკრთება და შეჩერდება) როგორ, ჯერ არ წასულხართ? მე მეგონა, რომ თქვენ აქ აღარ დამიხვდებოდით.

ნიკო. არ გესიამოვნა ჩვენი აქ დახვედრა?

ეროვნული ბიბლიოთეკა

გოგი. ხომ არ გინდა ჩვენთან წამოსვლა?

კოლა. არა.. (წიგნს მაგიდაზე დადებს).

გოგი, ნიკო და **ქეთო.** (ხტუნვით და სიმღერით გადიან).

კოლა. (ირონიულათ თვალს გაყოლებს) რა მხიარულ გუნებაზე არიან! (წიგნს ათვალიერებს) რა კარგი რამ არის!.. მართლა კინაღამ არ დამავიწყდა!.. (შკაფის უჯრას გამოსწევს, ამოიღებს სალფეტკს და მაგიდაზე გაშლის. გავა მეორე ოთახში და შემოიტანს მომტრო ბასკას) ღმერთო ჩემო!.. ჩვენ ამდენი რამა გვაქვს, მთელ თვესაც ვერ გავათავებთ! იქ, დაბლა-კი მშივრები სხედან!. კაციც ციხეში წაიყვანეს... დედაც ავათმყოფია. (ვიჩინას და დორის ხორცს გადმოიღებს და ერთათ ახვევს) ვაი თუ ეწყინოთ!.. უკან რომ გადმომიგდონ!.. (დაფიქრებული გადის)

მეორე მოქმედება

არჩილი, სანდრო, ფეფო და კოლა.

(ამავე სახლში. ძირითა სართული. ნესტიანი, პატარა ოთახი. აქა-იქ კედლები სველია. ერთი სარკმელი. ერთ მხარეზე მაგიდაზე გაზეთებია გადაფარებული. მაგიდაზე ლამპა ბჟუტავს, შუშას წვერი აქვს წაბოლილი. ერთ კუთხეში კრაოტი დგას და შიგ ბავშვს სძინავს. მეორე მხარეზე ტახტია, ზედ დახეული ფარდაგია გადაფარებული. არჩილი ზის დაღონებული, გვერდით ფეფო უზის, რომელიც წამდაუწუმ სთვლემს. სანდრო სარკმელთან დგას, გაიცქირება და ნაღვლიან კილოზე უსტვენს).

ფეფო. (სიჩუმეს დაარღვევს და ოხვრით) ხვალ ზევით ალდგომაა და ჩვენ არც კვერცხები და არც პასკა გვექნება?!.

არჩილი. არ ვიცი, ვნახოთ!..

სანდრო. (მობრუნდება) რაღა არ იცი, არც ერთი არ გვექნება. მამა ციხეშია და დედა სად რას იშოვის!..

არჩილი. იქნება ხვალ მამა გამოუშვან?..

ფეფო. ან იქნება დედამ მოიტანოს რამე?..

სანდრო. იქნება! მე კი არა მაქვს იმედი...

ფეფო. (ეძინება, თავს აკანტურებს) ااا... (ამოქნარებს).

არჩილი. წამო, დაიძინე!.. გეძინება.

ფეფო. დედას მოუცდი.

არჩილი. არა! ეხლა დაიძინე და ხვალ ნახე...

ფეფო. ვანა, მამა ქურდია, რომ დაიჭირეს?

ეროვნული ბიბლიოთეკა

არჩილი. არა.

ფეფო. მეზობლებში მითხრეს, რომ ციხეში ქურდებს იჭერენო!..

არჩილი. უტყუვნიათ!..

ფეფო. მაშ თუ ქურდი არ არის, რად დაიჭირეს?

არჩილი. აკი დედამა თქვა, რათაც დაიჭირეს, არ გაიგონე განა?..

ფეფო. არა. არ გამიგია!.. მითხარი რათა?.. (შეხვეწნით)

არჩილი. იმიტომ— თურმე ურჩობა გაუწია ქარხნის პატრონს.

ფეფო. მერე, მამა რათ ეურჩა?

არჩილი. რადგან მუშები აღარ მჭირიანო, ბევრნი მყვანანო, ადგა ქარხნის პატრონი და ბევრი ცოლშვილის პატრონი მუშები დაითხოვა. ყველანი შეწუხდენ. ზოგიერთმა თავი გამოიდო, პატრონს ურჩობა გამოუცხადეს. „ეს უწესოებაა". ამაზე პატრონმა ყველანი და მათ შორის მამაც ციხეში წაიყვანინა.

ფეფო. ნესტიან ოთახში დაამწყვდევენო!..

არჩილი. ოო!..

ფეფო. მარტო გამხმარ პურსა და წყალს მისცემენო.

არჩილი. ოო!..

ფეფო. საწყალი მამა!..

არჩილი. (ფეხთ გახდის და ტანისამოსიანათ მიაწვენს) კარგია, დაიძინე!.. (იქვე ზის ტოტა ხანს, გარინდებული, მერე წამოდგება და სანდროს მიუახლოვდება). რაღა დროს სტვენაა!.. რატო არ დაიძინებ?..

სანდრო. შენ რატო აღარ დაიძინებ!..

არჩილი. დედას მოვუცდი...

სანდრო. მეც იმას უცდი...

არჩილი. (დაფიქრ.) ვითომ არ მიიღებს დედა ფულებს?

სანდრო. არ მისცემენ, რადგან არაფერი ერგება.

არჩილი. მომავალ კვირაში ხომ დაჰჭირდებათ დარეცხა, მაშინ დედა გაუბრის

სანდრო. არა, კაცო, არა!.. მთელი ორი თვის სარეცხის დასარეცხი, რაც ერგებოდა დედას, მიღებული აქვს, გესმის?..

არჩილი. აკი თქვა დედამ, არ მიმიღიაო!..

სანდრო. (გაჯავრ.) შენისთანებს ასე ატყუებენ.

არჩილი. მაშ რაღათ წავიდა!..

სანდრო. ქალბატონს თავს შევაბრალებ, იქნება გული მოულბოო...

არჩილი. (ეურებს აცქვიტებს) მოიცა, ვიღაცის ფეხის ხმაა... (ისმის რაკუნი) ვინაა?

ხმა. არჩილ, მე ვარ!.. გამიღე კარები...

კოლა. (შემოდის, იქვე კუთხეში დასდებს გამოკრულ სალფეტკს.) წელან როგორ გამოიპარე ეზოდან? ვერ მომიცდიდი!..

არჩილი. თქვენ სასეირნოთ წასვლას აპირებდით, ფულებს ჰკრეფდით და მე ხომ იცი... არ შემიძლიან...

კოლა. მე იმათთან არსად არ დავდივარ. ამასთან მალე დავიშალენით. შენ ბევრი გეძებე...

არჩილი. რა ვიცოდი თუ მალე დაიშლებოდით!..

კოლა. (რადაცა უნდა თქვას, მაგრამ ვერა ბედავს. ძალდატანებით) არჩილ, ერთი სათხოვარი მაქვს შენთან და უნდა ამისრულო!..

არჩილი. რასაც მეტყვი, ყველაფერს ავასრულებ.

კოლა. რაც უნდა იყოს?

არჩილი. თავი მომიკვდეს!..

კოლა. იცი, არჩილ! მე მინდა საჩ...რა მემართება, ვერ ვახერხებ. იცი, არჩილ, სკოლაში ხომ გახსოვს, ერთმანეთს უზიარებდით ხოლმე პურს. როცა შენ გექნებოდა ხოლმე მე მაძლევდი და როცა მე—შენ.

არჩილი. ჰო, როგორ არა! მაგრამ ხშირათ შენ...!

კოლა. აბა, მაგას როდის გეკითხები! ეხლა, ამ საბედნიერ დღეოთ, დედამ მომცა ბევრი საჭმელი, მე ვერ [გავათავებ და შენ იქნება მომეშველო! უარს ნუ მეტყვი!..

არჩილი. (სიხარულით) კოლა!.. (ორივე ხელებს დაუჭერს) გმადლობ... გმადლობ!.. კოლა!..

კოლა. (გახარებული) მაშ კეთილი!.. (კუთხიდან გამოხვეულს აიღებს, მაგიდაზე დასდებს, საიდანაც გამოჩნდება ბასკა და სხვა) არჩილ, ცოტაზე მაპატივე...

არჩილი. კოლა, რას ამბობ... (ჩაბღენინის).

სანდრო. (რომელიც აქამდის გაოცებული იდგა, ვედარ ითმენს და გახარებული) უჰ! შენი ჭირიმე!.. კოლა...

ეროვნული ბიბლიოთ.

ფეფო. (გამოიდგიძებს და თვალების მოფშვნეტის შემდეგ) დედა, დედა, რა მიხარიან!.. მაშ ჩვენთვისაც ყოფილა აღდგომა!..

სანდრო. (ხმა მაღლა) მე კი მეგონა, რომ ღმერთმა გაგვწირა!.. მაგრამ კოლას კეთილი გული...

კოლა. იმხიარულეთ, აღდგომა, ხომ იცი, მაშინაა კაცისთვის, როცა თავს კმაყოფილ და ბედნიერათა გრძნობს.

არჩილი. და სხვისდამი სიყვარულში, არა? შენ ხომ სულ სხვებისთვის ფიქრობ?

კოლია. ასე იყოს, ნახვამდის.

ყველანი. ნახვამდის... (სიამოვნებით თვალს გაუყოლებენ).

მესამე მოქმედება.

დედა მარიამი, ნიკო, ქეთო, გოგი, კოლა, გოგო და ფეფო.

სასადილო ოთახი პირველი მოქმედებისა, მაგიდაზე სამოვარი ჩუხჩუხებს, ჩაი დასხმულია. ნიკო, გოგი და კოლა მაგიდას მისხდომიან. ნიკო და გოგი ერთმანეთს რაღაცას უამბობენ და თან ჩუმათ ხითხითებენ. კოლა წიგნს ათვალიერებს და თან ჩაის სვამს. აღდგომის დღეა. ყველანი კარგათ არიან გამოწყობილნი.

მეორე ოთახიდან მარიამის ხმა. (ხმაურობაა) შეჩვენებულო, დაწყევლილო!.. გაეთრიე აქედან, რომ შენი ფეხი აქ ალარ იყოს!.. გესმის?..

მსახური გოგოს ხმა. არა, შენი ჭირიმე, ქალბატონო!.. შემიბრალე!.. (ტირიდით) მე არ ამიღია.

ნიკო, გოგი და კოლა. (სმენათ იქცევიან).

ქეთო. (შემოდის გაკაპასებული) ეგრე უნდა, საძაგელი!..

ყველანი. (ერთათ) რა იყო, რა ამბავია, ქეთო!..

ქეთო. რა იყო და შავი ქვა გოგოს თავს!

ყველანი. მაინც?

ქეთო. გუშინ, ჩვენ რო გაგვიგულა, გაუხსნია საკუჭნაო, და სულ კარგი სანოვაგე გაულაგებია!

ნიკო. მოუპარია?...

გოგი. განა არა, სულ იმას ვამბობდი, რომ ე გოგო მსუნაგია მეთქი.

ნიკო. მსუნაგი და... მერე რანაირი...

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქეთო. აკი დედამაც დაითხოვა! გოგო ბარგს ალაგებს და დღესვე წავა აქედან.

კოლა. (გაფითრებული) მაგის გულისთვის იმას აქედან ვერავინ გააგდებს! რა იცით, რომ ისაა ქურდი? იმან კი წაიღო?

ყველანი. (ერთად გაოცებულები) ქა! მაშ არა და, ჰაეროპლანით ჩამოფრინდენ და წაიღეს.

ქეთო. ესეც რომ არ იყოს, სახლში არავინ არ ყოფილა და არც კლიტეა სადმე გატეხილი.

ნიკო. ნუ ფიცხობ, ჩვენო ბრძენო!.. მაგის სულ წასულობა დიდი ხანია ვიცოდით!..

კოლი. (გაჯავრებული) მოიკა ერთი ვნახო!.. (გადის. ყველანი ერთმანეთს უცქერიან და იცინიან. რამდენიმე ხნის შემდეგ ისევ უკან შემოვა. ტოტა დამშვიდებული).

ყველანი. (დაცინვით) სხვა რა გაარიგე ჩვენო ბრძენო!..

კოლია. (დამშვიდებით, რასაკვირველია, გავარიგე!.. გოგოს ბარგი ამოვალაგებინე და ისევ აქა რჩება!..

ყველანი. (ერთათ) როგორ!.. ქურდი!.. შენი ჭირიმეთ?..

კოლა. ჰო, ქურდი აქ რჩება, იმიტომ, რომ ის უდანაშაულოა!..

დედა. (ხმა შორიდანვე მოისმის, შემოდის და კოლას ეუბნება) არა, ვინ გკითხავს, შე საძაგელო, რომ გოგოს მირევ, მას ესარჩლები?..

კოლა. იმიტომ, რომ ის ქურდი არ არი.

დედა. (გაკაპასებული) აქ მოდი, შე საძაგელო (ეურზე ხელის წავლება სურს, მაგრამ კოლა არ აკიდებინებს) დახე ამას, კიდევაც მეურჩება!.. (მიანებებს თავს და სამოვარს მიუახლოვდება) დამაცა, საქმე აგრე არ ჩაგივლის.

კოლა. ის არ არი დამნაშავე!.. (ტრემლები მოუვა)

ფეფო. (ამ დროს კარებს შუმოადებს, შემოვა. კარებშივე გაჩერდება და თვალებით ვიდაცას ეძებს). დედამ..

დედა. (შეტევით) შენ აქ რაღა გინდა?..

ფეფო. (ლუდლუდით) მე... დედამ... ესს... თქვენი სალფეტკია... (სალფეტკს მაგიდაზე დასდებს).

დედა. (აიღებს სალფეტკს და შინჯავს) ეს, ჩვენი სალფეტკია!.. საიდან... (გაკვირდება და კოლას და ფეფოს უცქერის).

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფეფო. (მიტრიალდება და კოლას დაინახავს) ჰო, კოლა!.. ეს წითელი კვერცხი დედამ მომცა, რომ შენ მოგილოკო.

კოლა. გმადლობ, ჩემო კარგო? (ართმევს კვერცხს).

ფეფო. შენ რო წამოხვედი, დედა მოვიდა ნამტირალევი. ვერსად ვერაფერი ეშოვა. მაგრამ, როგორ გაუხარდა, როცა ჩვენ მხიარულები გვნახა, ჯერ ვერ წარმოედგინა, თუ რაზე ვიყავით გახარებულები. როცა კი შენი მოტანილი, ვიჩინა და ბატკნის ხორცი დაინახა მაგიდაზე გაოცდა, გაჰკვირდა და მერე სიხარულისაგან ტირილი დაიწყო.

კოლა. (დარცხვენით) კარგია, ფეფო! სუ, ჩუმათ!..

ფეფო. ჩვენ მივეხვიენით ჟივილ-ხივილით და დედა დავაჩუმეთ. მერე გამხიარულდა და მთელი ღამე შენა გლოკავდა...

კოლია. კარგია, ფეფო!..

ფეფო. დღეს დილით კი, მომცა ეს წითელი კვერცხი და შენთან მოსალოცათ გამომგზავნა. მე მეხათრებოდა, ერთი კვერცხით აქ მოსვლა, მაგრამ დედამ მითხრა: „გულით მიძღვნილი რამ. მცირედიც შეიწირებაო“.

დედა. (შესტქერის შვილს) ბიჭო, მაშ შენ მიგიწოდებია ამათთვის სანოვაგე?..

გოგი და **ნიკო.** აი ვის გაულაგებია ჩვენი სანოვაგე!

დედა. შვილო კოლია, მოდი ჩაგიკრა გულში, რომ ჩემზე უკეთესათ საწყლები გაგიკითხავს. (უეცლანი გაოცებულნი არიან).

ფ ა რ დ ა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მტკვრის სათავე, ჭოროხი და თამარ მეფე

მგზავრის დღიურიდან.

III.

ავით-გარეჯის უდაბნოს ქვევით, ასე სამი დღის სავალზე (216 ვ.), მდებიაროობს შესანიშნავი ადგილი, რომლის სწორი და ბადალი, არამთუ მთელ მტკვრის ხეობა, ბასეინში, არსად დედამიწის ზურგზე არ გვეგულება.

აქ შექმნილა კუთხე სამი მაზრისა—ნუხა—სიღნაღის და განჯისა, აქ იყრის თავს, აქ ინასკვება სამი მდინარე, აქ ესალმებიან თავის საყვარელ სამშობლოს მტკვარი და ტყუპი ალაზანი, აქ, ამ ადგილას, სამათ შერთული მტკვარი სამარადისოთ სტოვებს საქართველოს საზღვარს.

—

კავკასიონის მთა-გრეხილს საძხრეთით უბღარტნია უზარმაზარი მთა ბარბალო, 10,807 ფუტის სიმაღლე*). მდებიაროობს თიანეთის მაზრაში. ამ მთას, ბარბალოს, სამხრეთითვე ამოუხეთქია ორი უშველებელი ტოტი. ერთი გაცივებულა, მდინარე თეთრი არაგვის და იორის შუა, ხოლო მეორე ტოტს (ლავას), ძრიელ დიდ მანძილზე, აღმოსავლეთისკენ, უდენია, რომლის ტალღები შესამსე ვერსზე (300) შირაქის ტრიალ მინდორში თავდება**). აი ამ ტოტს, ვაკე მთას, ეწოდა: გომბორი, შუა-მთა და ციგი.

ბარბალოს მთის საყინულე აძლევს სათავეს ორს უმთავრეს მდინარეს კახეთისას, ალაზანს და იორს, ამ ტყუპს***) მდინარეთა შორის ვეშაპივით გაწოლილა ხსენებული გომბორის მთა, რომელსაც შეუქმნია მარცხნივ, უცხოთ შემკული ტურ-

---

*) პატარა ბარბალო 10,283 ფუტ. სიმაღლეა.

**) უეჭველია სადმე შუა გზაზე სხვა ვულკანიც შეჰშველია, თორემ ერთი ვულკანის ნიაღვარი სამას ვერსამდე ნუ თუ იდენდა!?

***) ალაზანმა იორაო—ჯერ ერთი მოდიოდა, მერე ორათ იქცაო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფა ალაზნის ხეობა და მარჯვნივ—არა ნაკლებ განთქმული ივრის ხეობა*). აი ამ გომბორის ვაკე მთაზე გაშენებულია თიანეთი (3677 ფუტი), თელავი (2420 ფ.) და სიღნაღი (2886 ფ.). ამ მთას და მის ხეობა—ღელეებს დაჰხვევია: თუში, ფშავი, ღლიღვი, ხევსური და ამათ ქვემოთ ერწო-თიანეთი და მთლათ კახეთი—გარეთ-კახეთი, შიგნით-კახეთი, უკანამხარი, წინამხარი და ქიზიყი. გომბორის მთა აჭმევს, ასმევს, ჰკვებავს და ინახავს სამი მაზრის აუარებელ ხალხს, საქონელს, ნადირს, ფრინველს, ტყეს და ყოველ ცხოველს და მცენარეს**).

გომბორის მთის ბოლოში შექმნილა თვალთ უწვდენელი მინდორ-ვაკე, ნავთის წყაროები***) და ხრიკაკი უდაბნო, რომელსაც მდ. იორი თითქმის რო შუაზე ჰყოფს.

იორსა და მტკვარის შუა მინდორს დარქმევია ქვემო-ყარაია****) და ამის ბოლოს არის ჯეირან-ჩიდი. ხოლო იორსა და ალაზანს შორის მდებიარობს საზამთრო საძოვრებით განთქმული შირაქის თვალთ-უწვდენელი მინდორ-ვაკე.

ჯეირან-ჩიდის ბოლოზე სამუხის ბინებთან პატარა ალაზანი (მდ. იორი) უერთდება, გულში ეკონება თავის ღვიძლ ძმას, დიდი ხნის უნახავს, დიდ ალაზანს.

—

ალაზანი იორს რო აიღებს, ბევრს უხვევს მარჯვნივ და მარცხნივ (ექვს ვერსს მაინც), ძრიელ უმძიმს საყვარელ სამშობლოს გამოთხოვება, დატოვება; იცის ბუნების წესი, რო უკან ველარ გაბრუნდება და ბოლოს ჯავრისაგან თავს იკლავს, კლდეზე ვარდება, ბევრის-ბევრ ძებნის შემდეგ უპოვია ერთს ადგილას ცხრა ადლი სიმაღლე კლდე, ტინი და მთლად ზედ გადადის, თავს იმსხვრევს.—ისეთის საშინელის ძალით ჩაქუხს, რომ ყურთა სმენა არ არის.

---

*) ალაზნის ხეობის სიგრძე არის 250 ვერსი და ივრის ხეობა 295 ვერსი (სტრელბიცკით) ანუ 336 ვერსი გარსევანიშვილის გამოანგარიშებით.

**) გომბორის მთის უმაღლესი ადგილი 5250 ფუტია, ეს არის გადასასვლელი გზა-ტკეცილით თბილისსა და თელავს შუა. ამიტომაც გომბორის მთა საცხოვრებლათ ზამთარშიაც კარგია და ზაფხულშიაც.

***) ნავთის წყარო ახმეტაშიაც აღმოჩნდა.

****) ზემო-ყარაიაზე გაშენებულია, როგორც ვიცით, დავით-გარეჯეს უდაბნო და ნათლისმცემლის მონასტერი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კლდიდან გადმოვარდნილი, დაღრეჩილ უფსკრულ'ში შთანთქმული, ფრთებ დალეწილი ალაზანი, დაკოდილი ვეფხვივით აქაფებულ ქოჩორს ისწორებს, ძლივ-ძლივობით წელში იმართება და ცოტასაც რო გაივლის, მერე სამარადისოთ ჰკარგავს თავის სახელს, დიდებულ მტკვარს უერთდება. სწორედ აქ, განჯის ბოლოს, თავდება კიდეც საქართველოს საზღვარი, რომელიც მდებიარობს თბილისიდან 256 ვერსის. მანძილზე.

— თუ უკაცრაოდ არ ვიყო...

— ბრძანეთ, თავადო...

— ჩემს პატარაობას, მახსოვს კახეთში ჩვენი თავადობა— მამაჩემი და სხვანიც აგრეთვე შეძლებულნი გლეხნიც, რთველს რო გაათავებდენ, ურმებს შეაბამდენ ყევარ-ყევარს და სალიანში გზანიდენ ხმელი თევზისთვის (დოში, ზურგიელი), ზოგიც ყულფში მიდიოდა მარილისათვის, ხოლო ვინც ღონიერი იყო ის აქაც ამოდიოდა სათათრეთში (ყარსის მხარეს), ადზეკვანს მარილისათვის, მაშინდელს აქეთაა მახსოვს მეურმეები იტყოდენ ხოლმე: „სალიანის გზაზე, ერთს ადგილას, ჩვენი უსარგებლო ალაზანი უშველებელ კლდიდან ვარდება, მერე რა დიდ მანძილზე გადადის მალაყს, რო იცოდეთ,— ქვეშ ურმით ისე გაუვლიდით, რომ ერთი წინწკალი რა არი, ერთი წინწკალიც არ მოგვხვედრიაო“...

— ეგ მართალი ბძანებაა, თავადო, მეც გამიგონია, მაგრამ შარშან ერთმა ფშავმა, მეცხვარეთა სარქალმა, მითხრა: ი ტინი და კლდე ალაზანს ჩაუთხრია და ახლა ისე ვეღარ გაუვლით ურმით ქვეშ, რომ არ გაიწუწოო. ჰო და, თავადო, თქვენც მოგეხსენებათ, რომ ეგ მაგრეც უნდა იყოს.

— ალაზანი მექანიკურ და ქიმიურ ძალით ყოველ წლივ სცვეთავს, ღრღნის, ფხეკავს ტინს და კლდეს, კიდევ რამდენიმე საუკუნე და იქნება სულაც ჩათხაროს...

— ვა! პარონებო... სმენა იყოს და გაგონება, ზიარების მადლმა, რომ ჩემზე კარგათ ეგ ადგილები არავინ იცის, ყოველ წლივ მაგ ადგილას შემოუვლი ას ბინას მაინც...

— მერე რისთვის ირჯებით ხოლმე, პარონ ხაჩატურ?..

— მაშ ვა! ბეებს ზამთარში ურიგებთ, მატყლი სხვას არ მიჰყიდონ. ჰა! მიგდეთ რალა ყური... შირაქზე და ჯეირან-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩოლის მინდვრებზე ზაფხულში არ იდგომლება, ისე ძრიელ ცხელა, რომ ერბო-კვერცხი შეიწვის, რაღა! მაგრამ რას იტყვით, რომ ზამთარში, ვენაცვალე ღმერთს, ქვეყნის დამბადებელს, ზამთარში კი ამისთანა დალოცვილი საზაზამთრო საძოვარი ცხვრისთვის, მოგახსენებთ პარონებო, რომ ჩემმა მზემ, არსად დუნიაში არ მოინახება. რაც გინდ დიდი ზამთარი იყოს, აქ თოვლი არ იცის და თუ მოვიდა იმ დღესვე დნება, რაც რომ თრიალეთში და აქ არტაანის იაილებზე ზაფხულში ცხვარი მოდის, სულ შირაქს და ჯეირან-ჩოლს ეფინება შემოდგომა-ზამთრობით, ჯერ მე ვიცი ასი ბინაზე მეტი. თუში და ფშავი უფრო ეტანება ჯეირან-ჩოლს; იქით კი, დედოფლის წყაროდინ, შირაქზე ამაყი ქიზიყელების ბინებია.

— ის როგორ-ღა იყო, ხაჩატურ-აღა, რო ამბობ ზამთარი არ იცისო, ქიზიყელმა მეცხვარემ, რომ დაიკვეხა: „ჰი, ვენაცვალე ღმერთს! მარტი ისე გავიდა, რო ერთი ქეციანი ბატკანიც ვერ მომიკლაო“. ეს რო გაიგო მარტმა, კაცი აფრინა აპრილთან: „თუ ძმა ხარ, ერთი სამიოდე დღე მასესხე და მე ვაჩვენებ სეირს მაგ თავხედ მეცხვარეს! არა და, როგორ მოგწონთ, ე ნიშსაც რო მიგებს! დიაღ უცხოა თქვენმა მზემ“... აპრილმა ასესხა. ამოუშვა მარტმა ნამქერი მერე რა ნამქერი, ვერა სულდგმული გარედ გამოსვლას ვერა ბედავდა. მეცხვარეც გაუჯიბრდა მარტს: ჩასვა გუდაში კატა, მოუკრა პირი და ფარეხის ჭერში ჩამოჭკიდა. კატამ დაიწყო გუდაში ფხაკუნი და ცხვარი ხო აბუეტია, ერთს გაუკვირდა, მეორეს და მთელი ფარა ცხვარი მთელს სამ დღეს ი კატის ოინს შესცქეროდა, ი ფხაკუნი აკვირვებდა, გატაცებული იყო. ამ გვარად აჯობა მეცხვარემ მარტს—მთელი ფარა ცხვარი შიმშილს გადაარჩინა და აპრილმაც შეიბრალა ცხვარი და ისეთი ქარი ამოვიდა, რომ ქაჩალს თავს დასწვამდა.

— ეგ... რა ბძანებაა! ლათაია, სიტყვის მასალაა რაღა... გამიგონეთ, პარონებო... სოფ. დიდ სამუხში სცხოვრობს დღეს თითონ ამ ადგილების პატრონი—შარიფ-ბეგი შამხალოვი და მთლად მისი გვარეულობა შვიდი კომლი... სოფელი კი დიდია, ასი კომლი მეტი იქნება, სულ შიიტები არიან, შარიფ-ბეგს ტხენის ზაოდიტ აქვს და ძალიან კარგი ჯიშის ცხენებსაც

ინახავს — ყარაბალს, არაბს და სხვა... აქაურობის იშხანია, ელი!..

— მართალი ხარ, ხაჩატურ-აღა. . ნათქვამია: უპატრონო ეკლესიას, ალები დაეპატრონებიანო. ეგ მაგრეა დღეს, ხოლო უწინ, ჩვენი მემატიანეს სიტყვით, აქ, ალაზანის და იორის შორის, გაძრიელებული იყო ქართველთა ცხოვრება; აქ ყოფილა საერისთაო და ქალაქი ჰერეთი *) და უფრო ქვემოთ ქალაქი მოგვკანი (ალაზნის და მტკვრის შესართავთან). ხოლო თამარის დროს აქ, მტკვრის მარჯვენა კიდეზე, გაიხსენეთ, ბატონებო, შანქორის (და დოვინის) დაჭერა 1203 წელს. დიაღ, რა ბრძოლა იყო, რა საშინლათ დაამარცხეს ქართველებმა აუარებელი მოზღვავებული მტერი. აქ იბრძოდა თვით დავით სოსლანი (რომელიც იყო ქმარი თამარისა) და ამირ სპასალარი ზაქარია, ძმით იოანეთი. აქვე მოართვეს სოსლან დავითს დრეშა დამარცხებულ ათაბაგისა, ხოლო შანქორელთა კლიტენი ქალაქისანი. ალაფთა უმრავლესობისაგან თამარმა „წარგზავნა დროშა ათაბეგისა ხახულის დვთის-მშობლის წინაშე, ვითარცა პაპამან მისმან **) მანთაკი ეკისის ძისა.“

ბოლოს სამუხის არამერის შესახებ ამბობს ვახუშტი: “და აწ უწოდებენ ამას ადგილსა ხორანთას (ჰერეთი) და იყო ქალაქი და ციხე ურუმდე და ბერქამდე (1260წ.), შემდგომად მოოჰრდა და აწ ოჰერ არს“...

(შემდეგი იქნება).

ილ. ალხაზიშვილი.



*) თამარის დროს ჰერეთის ერისთავათ იყო ასათ გრიგოლის ძე.

**) დავით აღმაშენებელმა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პირველ-ყოფილ ადამიანის ყოფა ცხოვრება

ზნე-ჩვეულებანი ველური კაცისა.

ჩვენ გვაქვს მოსე წინასწარმეტყველისაგან მოცემული ათი მცნება მეექვსე მცნება არის. „არა კაცთ კლა“ ეს მცნება გვიკრძალავს კაცის სიკვდილს, თუ რომ ვინმემ დაარღვია ეს მცნება კანონის ძალით შესაფერათ ისჯება.

ველური თავისებურათ ასრულებს ამ მცნებას. თუ რომ ველურმა თავის თემთაგანი ვინმე მოკლა მძიმე დანაშაულათ და ცოდვათ ჩაეთვლება, მაგრამ გარეშე კაცის მოკვლა კი სიმამაცის ნიშანია, მამაცობა საუკეთესო სათნოება არის ველურისა. სანამ ინდოელი კაცს არ მოჰკლავს, მას ნება არ აქვს თავი შეიმკოს სხვა და სხვა ფერის ფრთებით; სანამ მან ფრთა არ შეიძინა, ის არ ითვლება ღირსეულ მეომრათ და გულადათ, ვინც კი ამ უკანასკნელ ღირსებას მოკლებულია, მას არ გაჰყვება ცოლათ არც ერთი ინდოელი ქალი. აი როგორი ყოფილა ჩვეულება ინდოელ ველურებში და რა ძალა ჰქონია მას მათ ცხოვრებაში!! ზოგიერთი გასათხოვარი ქალი მთელი წლობით ელის (ბორნეოს კუნძულზე), როდის იქნება, რომ მის საქმრომ მოჰკლას ვინმე და მას ნება მიეცეს ქორწინებისა. თუ მკვლელობა მოხდა შურის საძიებლათ, ანუ სისხლის ასაღებათ—არც ისეთი მკვლელობა ითვლება უკანონოთ: ველურს უდიდეს მოვალეობათ მიაჩნია სისხლის აღება, მან ვალი უნდა გადიხადოს, შური იძიოს თავის მშობლების, ნათესავების და მთელი თემისაც-კი. თუ ველურმა შური არ იძია, ესე იგი სისხლი არ აიღო, მაგიერი მტერს არ გადუხადა, ის სასტიკათ დაისჯება—დედა სწყევლის მის დაბადების დღეს, მამა ზიზღით ეპყრობა, ცოლი სტოვებს და შორდება, თუ უცოლოა—არვინ ცოლათ არ გაჰყვება. ის მოვალეა სის-

ხლი აიღოს, თორემ უკბილო ბებერიც კი სასაცილოთ იგდებს. ასეთი სასტიკია ჩვეულება ველურისა!..

„არა იპარო“ გვიბრძანებს მეორე მცნება და დარღვევისათვის კანონი სასტიკათ გვსჯის ჩვენ, ველური კი სხვანაირათ ასრულებს ამ მცნებას. თავის თემის კაკს ის ვერაფერს ჰპარავს—დიდი სირცხვილია და არც შესაფერია პატიოსანი კაცისათვის. გარეშეს თუ არ მოჰპარა ეს კი ლაჩროობათ ჩაითვლება, ცოდვათ მიეჩნევა. ინდოელს რომ მიაბაროთ რამე შესანახათ, ის თავის თვალის ჩინივით შეინახავს, მოუვლის, როგორც ძვირფასს საუნჯეს, ამავე დროს კი ის არაფრად ჩააგდებს რომ მოგპაროს, რაც არ ჩაგიბარებია მისთვის.

ველურმა კარგათ იცის გარჩევა, რა არის „ჩემი“ და „სხვისი“, ესე იგი საკუთრება თვისი და სხვისი, მაგრამ ის პატივით არ ეპყრობა სხვის საკუთრებას. თემი, რომელიც ნადირობით და თევზაობით ცხოვრობს, მას აქვს სანადირო და სათევზაო ადგილები და თითეული მათგანი ერთგულათ იცავს უფლებებს თავის თემის საკუთრებაზე. ეს ადგილები შეადგენენ თემის საკუთრებას. როცა თემი ოჯახებათ, იყოფება, მაშინ ოჯახებს თავის საკუთრება უჩნდებათ მაგალითათ: ქოხი, ქოხთან პატარა ნაჭერი მიწა და ქოხში სხვა და სხვა ჭურჭლები, იარაღები და სხვ. ესენი შეადგენენ „ოჯახის“ საკუთრებას. შეიძლება ოჯახის თითეულ წევრს ჰქონდეს რამე, რაც მარტო მას ეკუთვნის და არა სხვა წევრებს, მაგალითად: ტანისამოსი, სამკაული, იარაღი,—ყველა ესენი ითვლება „პირად“ საკუთრებათ და ვერვინ დაუსჯელათ ვერ წაართმევს. ასე რომ ველურებს საკუთრება განსაზღვრული აქვთ ამ რიგათ: პირადი საკუთრება, ოჯახის საკუთრება და თემის საკუთრება. ხშირად მოხდება ცალკე თემის მცხოვრებთა შორის ჩხუბი და უთანხმოება საკუთრებაზე, ამ შემთხვევაში საჭიროა საქმის ისეთი მცოდნე კაცი, რომელმაც უნდა შეარიგოს მოწინააღმდეგენი, გაარჩიოს საჩივარი, საჭიროა გამოცდილი მრჩეველი, მართლმსაჯული მოსამართლე. ყოველ თემს აქვს საერთო საქმე, რომლის გასარჩევათ საჭიროა ხელმძღვანელი კაცი. მაგალითად—იქნება ერთი თემი მეორეს ომს უცხადებს, ან რამე დავა აქვთ ერთმანეთში, ან თემს უნდა აირჩიოს ახალი ბინა

ეროვნული ბიბლიოთეკა

საცხოვრებლათ—ყველა ამ კითხვების გასარჩევათ საჭიროა ჭკვიანი კაცის რჩევა-დარიგება, ამგვარი გამოცდილი—საიმედო პირი დგება თემის „წინამძღოლათ“ თუ რომ ეს კაცი მასთანვე მამაცი—გულადი და გამოცდილი მეომარია, ის ომის დროს „სარდლობა“-საც უწევს თემს; თუ რომ ეს ღირსებები მასში არ არის იმ შემთხვევაში ომში სხვა სარდალს ირჩევენ.

ამ გვარად ჩვენ ვხედავთ, რომ ველურებში რაც უნდა უვიცნი და უჭკუონი იყვენ, მაინც შეადგენენ პატარ-პატარა შეერთებულ საზოგადოებებს, თემებს, ირჩევენ წინამძღოლებს და სარდლებს, მტკიცეთ ასრულებენ მრავალ ჩვეულებებს—ადათებს, რომლებიც მათთვის ისეთივე მნიშვნელოვანნი არიან, როგორც ჩვენთვის დაწერილი კანონები.

(შემდეგი იქნება).

იტა ნაკაშიძე.